პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

საქ. ა. კ. (ბ) ცენტრალურ და ტფ კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი.
5
ნოემბერი
1935 წ.
№ 258 4414

კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო! დღითიდღე ვამაგროთ საკოლმეურნეო წყობილება! ავიყვანოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეები მოწინავეთა დონეზე! გავხადოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკური და ყველა კოლმეურნე შეძლებული!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრ. კ-ის ლოზუნგებიდან სსრ კ-ში დიდი პროლეტარული რევოლუციის მე-18 წლისთავისათვის.

ბიბლიოთეკა

სტახანოვური გაქანება საკოლმეურნეო წარმოებას

მარიამ დემჩენკომ დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან სიტყვა მისცა მთელ მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ამხ. სტალინს: — ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში იმ ჯგუფმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჰექტარზე 500 ცენტნერზე ნაკლები ჭარხალი არ აიღოს.

ეს დაპირება დემჩენკომ და მისმა ამხანაგებმა სახელოვნად შეასრულეს, საშუალოდ ჰექტარზე მათ აიღეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 523 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის ჭარხალი. დემჩენკოს ჯგუფის მიერ მიღწეული მოსავლიანობა 4-ჯერ აღემატება ჭარხლის იმ საშუალო მოსავლიანობას, რომელიც მიღებულია საერთოდ საბჭოთა კავშირში.

ამგვარად, დემჩენკოს ჯგუფმა, ცალკე ბრიგადებმა და მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე გვიჩვენეს საკოლმეურნეო მინდვრებზე სტახანოვური მეთოდით მუშაობის საუკეთესო ნიმუშები. მათ გვიჩვენეს, რომ საშუალო მოსავლიანობის ძველი ნორმების დონეზე ყოფნა სამარცხვინოა და რომ სოციალისტური მიწათმოქმედების პირობებში, როდესაც საკოლმეურნეო სოფელი აღჭურვილია მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ყოველგვარი საშუალება გვაქვს სარეკორდო მოსავლის მისაღწევად ყველა ბრიგადასა და კოლმეურნეობაში.

ბატონყმურ-კაპიტალისტური ურთიერთობის დროს შეუძლებელი იყო ლაპარაკი მასების დაინტერესებაზე მოსავლიანობის გადიდებით. თავადების და მემამულეების მიწებზე არაადამიანური შრომით წელში გაწყვეტილ გლეხობას არ ჰქონდა არც გამოცდილება, არც საშუალება, ეზრუნა მოსავლიანობის გადიდებისთვის;

„ეჰ, როგორი არის, ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია:
მიწა სხვისაა, ვქრამბ,
შრომა კი მარტო ჩემია...

ასე ნაღვლიანად და მოთქმით ალაპარაკებს ძველი პოეტი წუთისოფლის უკუღმართობით განაწამებ უმიწაწყლო გლეხს, რომელსაც არაფერი გააჩნდა, გარდა პირუტყვული შრომისა, მის ნაწვავ-ნაოფლს კი განუკითხავად ითვისებდნენ პარაზიტული კლასები.

ეს შავბნელი დრო წარსულს ჩაბარდა. ოქტომბრის რევოლუციამ ერთი დაკვრით გააუქმა მყვლეფელთა კლასების „განაჩენი“ და მიწა სოფლის მშრომელებს გადასცა.

ახლა კოლმეურნე გლეხობას, რომელმაც სახელმწიფოსაგან სამუდამო სარგებლობის აქტით სრულიად უსასყიდლოდ მიიღო საუკეთესო მიწები, აქვს მისწრაფება მძლავრი იმპულსი და ნამდვილი შესაძლებლობაც გააუმჯობესოს ნიადაგის დამუშავება და ასწიოს მოსავლიანობა.

ამიტომ გასაკვირი როდია, თუ მარიამ დემჩენკო და მოწინავე კოლმეურნეთა მილიონიანი მასები ეუფლებიან აგროტექნიკას, აუმჯობესებენ მიწის დამუშავებას და იპყრობენ სარეკორდო მოსავლის ახალ-ახალ მწვერვალებს.

შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, მარიამ დემჩენკოს და მისი ამხანაგების სარეკორდო მოსავალი შემთხვევითი მოვლენაა, იშვიათი გამონაკლისია, რომლის განზოგადოებაც შეუძლებელიაო.

არაფერი ამის მსგავსი! დემჩენკოსა და მის ამხანაგებს არავითარი ზებუნებრივი სასწაული არ მოუხდენიათ. მათ სარეკორდო მოსავლიანობას მიაღწიეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი საკოლმეურნეო შრომით. ყოველ კოლმეურნეობას შეუძლია მიაღწიოს ასეთ შედეგებს.

რად შორს წავიდეთ. განა ჩვენში, საქართველოში ცოტანი არიან ბრიგადირები, ჯგუფის ხელმძღვანელები და რიგითი კოლმეურნეები, რომლებიც სტახანოვურად მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებენ?

აი, თუნდაც ამხ. თ. გონიაძის ბრიგადა სოფ. დაგვას (ქობულეთის რაიონი) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. გონიაძის ხელმძღვანელობით ამ ბრიგადამ წელს ჰექტარზე აიღო 4.880 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს საშუალო ნორმა დიდად აღემატება მოსავლიანობის იმ საშუალო სარეკორდო ნორმებს, რომლითაც ასე ტრაბახობენ ცეილონის, კუნძულ იავის, ინდოეთისა და ჩინეთის კაპიტალისტი პლანტატორები. იმავე ქობულეთის რაიონში არის კოლმეურნეობები, რომლებმაც ცალკე ნაკვეთებიდან წელს ჰექტარზე საშუალოდ აიღეს 6.200 კილოგრამი ფოთოლი. ასეთი მოსავლიანობა უცნობია იაპონიისთვისაც კი, რომელსაც ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის მხრივ მთელს მსოფლიოში დღემდე პირველი ადგილი უჭირავს.

მარიკა ფუნდუკიძე აჭარისტანის პირველ საბჭოთა მეურნეობაში წელს ნორმით გათვალისწინებული 14 კილოგრამის ნაცვლად კრეფდა 40 კილოგრამ ჩაის. ამხ. ახუბა ოჩამჩირის რაიონის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაში გამომუშავების ნორმით მიცემული 5 კილოგრამის ნაცვლად კრეფდა 20 კილოგრამ ჩაის.

ვინ არ იცნობს კოლმეურნე ბოსტანჯიანს აფხაზეთში, რომელმაც მეთამბაქოობაში საუკეთესო სტახანოველის სახელი გაითქვა. ან კოლმეურნე გახუტაშვილს ლაგოდეხის რაიონში, რომელიც თამბაქოს მოსავლის აღების პერიოდში ასრულებდა 18 ნაცვლად 40—42 ზონარი თამბაქოს ანემსვასა და დახარისხებას.

სტახანოვური მეთოდით მუშაობის და შრომის მაღალი ნაყოფიერების მრავალი მაგალითი გვაქვს მეცხოველეობის დარგშიც. მოწინავე მწყემსები, მწველავები, მომვლელები და ფერმების ბრიგადირები მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყირაზე აყენებენ პროდუქციულობისა და ნამატის შენარჩუნების ოპტიმალურ სავარაუდო ნორმებს და 200—250 პროცენტით ასრულებენ ამ დარგში მიცემულ დავალებებს.

სტახანოვური მეთოდით მუშაობის პათოსი ფართოდ ედება კოლმეურნე მასებს. საჭიროა ამ მოძრაობას ბოლშევიკურად ჩავუდგეთ სათავეში და მივაღწიოთ იმას, რომ სტახანოვური ნაყოფიერებით, ინტერესით და უნარით მუშაობდეს ყველა კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ყველა მუშა და სპეციალისტი.

ამოცანა ისაა, რომ ყველა ჯგუფი და ყველა ბრიგადა ჩავაბათ მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში. ეს აბსოლუტურად აუცილებელია, რადგანაც მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მხრივ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული ისეთი უხვი მოსავლიანობის მისაღწევად, როგორიც შეეფერის მსხვილ, მოწინავე მაღალ ტექნიკით შეიარაღებულ სოციალისტურ მიწათმოქმედებას.

აუცილებელია თვით კოლმეურნე გლეხები გავხადოთ სტახანოვური მოძრაობის მოწინავე აგიტატორებად. კოლმეურნე გლეხები კი, როგორც ამხ. სტალინი ამბობს — „წარმოადგენენ საკოლმეურნეო მოძრაობის შესანიშნავ აგიტატორებს, ვინაიდან ისინი მონახავენ კოლმეურნეობის სასარგებლო, გლეხთა ჩამორჩენილ მასისათვის გასაგებ და მისაღებ ისეთ არგუმენტებს, რომელთა შესახებ ჩვენ, კვალიფიციურ ბოლშევიკებს, ოცნებაც არ შეგვიძლიაო“.

კონსერვატიულ ელემენტებს, მესაბოტაჟეებს და ხალხის მტრებს შეუძლიათ დასჯერდნენ შრომის ნაყოფიერების ძველ ნორმებს და შეაფერხონ მოწინავე ადამიანების მისწრაფება იმისადმი, რომ მიაღწიონ სარეკორდო მოსავალს. ამიტომ საჭიროა პარტიული ორგანიზაციების ფხიზელი ყურადღება, რათა დროზე გამოაშკარავდეს და ძირშივე აღმოიფხვრას სტახანოვური მოძრაობის შეფერხების ყოველგვარი ცდა.

დონბასის მაღაროებში, მაგნიტოგორსკის ბრძმედებში, მაკეევკის ქარხნის ღუმელებში, ბაქოს ნავთის სარეწაოებსა და მსუბუქი მრეწველობის გიგანტებში სტახანოვური მოძრაობის ტალღამ უკვე მოგვცა პირველი ბრწყინვალე შედეგები.

სოციალისტური ინდუსტრიის მოწინავე ადამიანების ამ გამოცდილების გადატანამ სოფლად უმაგალითო სიმაღლეზე უნდა აიყვანოს შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ბალტიის ქარხანას ეწოდა ს. ორჯონიკიძის სახელი

მოსკოვი, 3 ნოემბერი. სსრ კავშირის ცაკმა დააკმაყოფილა ბალტიის გემთსაშენი ქარხნის მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შუამდგომლობა და ამ ქარხანას მიაკუთვნა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელი. (ადს).

□ □ □

ფინეთის სასპორტო კავშირის დელეგაცია

ლენინგრადი, 3 ნოემბერს ჩამოვიდა ფინეთის სასპორტო კავშირის „ტუდის“ დელეგაცია, რომელიც შესდგება 5 მცურავისა და ფიზარვაარის კავშირის წარმომადგენლისგან. დელეგაცია მიემგზავრება მოსკოვს, სადაც მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებაში საბჭოთა საუკეთესო მცურავებთან. (ადს).

6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია

ტფილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი

პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების და წითელი არმიის წარმომადგენლებთან ერთად,

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 18 წლისთავის გამო

საკ. კპ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ.-ის, ტფილისის კ.-ის და რაიკომების, ა.-კ. ცაკის, საქართველოს ცაკის, ტფილისის საბჭოს, საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს ალკკ ც. კ.-ის და ტფილისის კ.-ის წევრები და კანდიდატები შედიან თავისი მანდატებით.

დანარჩენები — სპეციალური მისაწვევი ბილეთებით, რომლებსაც გასცემენ რაიონული საბჭოები.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი

ვ. სვარიგის ნახატიდან



დიდი პროლეტარული რევოლუციის შტაბი.
სურათზე: ამხანაგი სტალინი, ძერჟინსკი, სვერდლოვი, ბუბნოვი და ურიცკი.

□ □ □ □ □ □

ჭიათურელ სტახანოველთა მისალმებანი

ამხ. სტალინს

ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო სტალინ! ჭიათურის მარგანეცის სტახანოველთა პირველი შეკრების მონაწილენი, მაღაროების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების კოლექტივი, გიგზავნით შენ, მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის დიდ გენიოსურ მესაჭეს, ყველა ქვეყნის მშრომელთა სიამაყეს, ხალხის საყვარელ ბელადს, გულთბილ ბოლშევიკურ სალამს!

ამხანაგო სტალინ! თქვენი ბრძნული მითითება, რომ ტექნიკას შეუძლია მოახდინოს სასწაულები, ტექნიკას დაუფლებული ადამიანების საშუალებით, ქმნის სოციალისტური შრომის ახალ ერას, ნაყოფიერი მუშაობის დიდ ეპოქას, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახულ სასწაულებს. თქვენმა გენიოსურმა ლოზუნგმა წარმოშვა სტახანოველები, ბუსიგინელები, ვინოგრადოველები, სმეტანინები. მართლაც რა ბედნიერია სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის გმირული კოლექტივი, როცა ის დიდი ბელადისაგან მომენტების ამოცანების მიხედვით ღებულობს დავალებებს და გრძნობს ბელადის ნამდვილ მშობლიურ ზრუნვას და დახმარებას. ამ უდიდესი ზრუნვითა და სიყვარულით ჯამთბარი მილიონები მწყობრად მიდიან ახალი ისტორიული გამარჯვებისაკენ.

ჩვენთვის, ჭიათურელ სტახანოველთათვის, გარკვეულია შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ სტახანოვური მუშაობის მეთოდი გავიხადოთ კანონად და დავძლიოთ ჩამორჩენა მარგანეცის — სოციალიზმის ინდუსტრიის ამ შავი პურის ფრონტზე. ჩვენს რიგებში გაიზარდნენ სტახანოველები **ვასილ სამხარაძე, ტრიფონ ფოფხაძე**, დღიურ დავალებებს 555 პროცენტით რომ ასრულებენ, **გაფრინდაშვილი, ლონგუზოვი, ქურტანიძე**, თითეული ათი კაცის ნორმა მარგანეცს რომ იღებს.

ამხანაგო სტალინ! ჩვენი შეკრება სიტყვას გაძლევს, რომ ჩვენ ყველა მაღაროს — გადავიყვანთ მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე, აღვზრდით და გავამრავლებთ სტახანოველთა რიგებს, ავითვისებთ ახალ მექანიზმებს და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიას წელს მივცემთ 1.150.000 ტონა მარგანეცს.

ამხ. ორჯონიკიძეს

ძვირფასო სერგო! ჭიათურის მარგანეცის სტახანოველთა პირველი შეკრება გიგზავნის შენ, სოციალიზმის მძიმე ინდუსტრიის რკინის სარდალს მხურვალე ბოლშევიკურ სალამს და მაგრად გართმევს ხელს.

ამხანაგო სერგო! ისტორიის სარბიელზე შრომა არასდროს არ ყოფილა ისე სასახელო, გმირობისა და მამაცობის საქმე, როგორც ეს არის დღეს, საბჭოების უძლეველ ქვეყანაში.

სოციალიზმის დიდი ლოკომოტივის გენიოსური მემანქანის ამხანაგ სტალინის ლოზუნგი ადამიანების მიერ ტექნიკის დაუფლებით სასწაულების მოხდენის შესახებ, გადაიქცა ჩვენი შემოქმედების კანონად. ჩვენ ფართოდ გავშალეთ სტახანოველთა მოძრაობა, ჩვენმა პირველმა სტახანოველმა, ლენინური - კომკავშირის ღვიძლმა შვილმა ამხ. ვასილ სამხარაძემ მარგანეცის მონგრევის საქმეში ახალი რეკორდი დაამყარა. ახლა ჩვენ გვყავს 116 სტახანოველი, მაგრამ ამაზე არ ვჩერდებით, ჩვენი შეკრება პირობას გაძლევს, რომ გავამრავლებთ სტახანოველთა რიგებს, ყველა მაღაროებს გადავიყვანთ სტახანოვურ მეთოდით მუშაობაზე, მივაღწევთ ყველა რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას, მექანიზაციის გატარებას და წელს ქვეყანას მივცემთ 1.150.000 ტონა მარგანეცს. სტახანოვურ მეთოდს გავხდით ჩვენი მუშაობის კანონად და მთლიანად დავეუფლებით მას.

გარწმუნებთ, ამხ. სერგო, რომ ჩვენი დაპირებები ბოლშევიკურად, იქნება განაღდებული.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სერგოს! გაუმარჯოს დიდ სტალინს!

ამხ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი! დღეს შევიკრიბეთ ჩვენ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველები და ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ როგორ დავაყენოთ უკეთ ჩვენი წარმოების შრომის ორგანიზაცია, როგორ უფრო ნაყოფიერი გავხადოთ ჩვენი შრომა.

ჩვენ კარგად გვახსოვს გენიოსი ბელადის ამხ. ლენინის სიტყვები: „სოციალიზმი იწყება იქ, სადაც თავს იჩენს უბრალო მუშების თავდადებული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის“.

ჩვენც უბრალო მუშები ვართ. აი, ჩვენი პირველი სტახანოველი ვასო სამხარაძე. იგი ამ ხუთიოდე წლის წინად პირდაპირ ქოხიდან მოადგა პერევისის მაღაროებს, დაიწყო მარგანეცის მნგრეველად მუშაობა. ამხ. ტრიფონ ფოფხაძე — ეს შუბლმაღალი ბრგე ვაჟკაცი 6 წელია წერაქვით ღრღნის ჭიათურის მთების გულ-მკერდს; კუნთებმაგარი ლონგუზოვი სამხრეთ ოსეთის ფარღალა ქოხიდან არის გამოსული. იგი ერთხანს კულაკების ხოდაბუნს უდგა მწყემსად, ახლა კი მისი მადლიანი მარჯვენა უხვად აწვდის საკვებს ჩვენს მოგუგუნე სოციალისტურ ინდუსტრიას. ჩვენს რიგებში მყოფმა ქურტანიძემ მაღაროებში მუშაობის 20 გაზაფხული გადაითვალა. იგი ახლაც ხშირად იგონებს, თუ როგორ უხდებოდა წელში ოთხად მოხრილს მარგანეცის გამონგრევა „გერზენ-კირხენის“ ფირმისათვის. გაფრინდაშვილს კი არა ერთი ფარული კრიზა ახსოვს ჭიათურის მაღაროებში.

დიახ, ჩვენ დღეს არ დაგვიწყია ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ბრძოლა სოციალიზმისათვის, მაგრამ მხოლოდ სოციალისტური წარმოების ახალი მოწინავე ტექნიკით შეიარაღებამ მოგვცა ჩვენ საშუალება ჩამოგვეტოვებინა უკან კაპიტალისტური ნორმები.

საპასუხოდ დიდი სტალინის მოწოდებისა ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლისაკენ — ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა წამოაყენა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ახალი სტახანოვური მეთოდი.

სტახანოველთა მოძრაობა საქმით იძლევა იმის ბრწყინვალე დამამტკიცებელ საბუთს, რომ ტექნიკას იმ ადამიანთა მეთაურობით, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ, შეუძლია სასწაულები მოახდინოს და უნდა მოახდინოს კიდეც.

ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხ. სტალინმა გვიჩვენა ტექნიკის სრული დაუფლების გზა. სოციალისტური საზოგადოების ბრძენი სტრატეგმა და ხუროთმოძღვარმა მოგვიწოდა ჩვენ, მუშათა კლასს, დიადი ბრძოლისაკენ საუკეთესო მსოფლიო მაჩვენებლებისათვის; იგი გვიჩვენებს, თუ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სიამაყის გრძნობით აღსავსენი ვიწყებთ ჩვენ სამუშაო დღეს, არც ერთი წუთი გაცდენა, მუშაობის სრული შეუწყვეტლობა 420 წუთის განმავლობაში! ჩვენ ხომ მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე გვაქვს და ახლა ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი შრომის ნაყოფიერება გვქონდეს, ამას ჩვენ მივაღწევთ, ამის სრულ შესაძლებლობას გვაძლევს სოციალისტური წარმოების პირობები.

ჩვენ უკვე დავიწყეთ ახლებურად. სტახანოვურად მუშაობა და, აი, ჩვენ გვინდა გაგიზიაროთ შენ, ამიერკავკასიის და ორდენოსან საქართველოს მშრომელთა ღირსეულ წინამძღოლს, დიდი სტალინის ღირსეულ მოწაფეს და თანამებრძოლს ჩვენი მუშაობის პირველი შედეგები.

სტახანოვური მეთოდით მუშაობა ჩვენში პირველად სცადა მნგრეველმა ამხ. ვასილ სამხარაძემ. რა იყო ახალი ვასილ სამხარაძის მუშაობაში?

სანგრევში იყო ორი გზა. ერთ მხარეზე ჩაყენებული ვაგონები იტვირთებოდა, მეორე ლიანდაგიდან კი სავსე გაყავდათ და ამზადებდნენ ცარიელს. ვაგონის გავსების შემდეგ ვასილ სამხარაძე იწყებდა მეორე ლიანდაგზე გამზადებულ ვაგონების გავსებას და ასე შემდეგ.

სანგრევიდან ელმავლის გზამდე სპეციალურად ცხენი მუშაობდა, რაც მთლიანად უზრუნველყოფდა სავსე ვაგონების დროზე გამოზიდვას და ცარიელის კიდევ დროზე მიწოდებას. ამავე დროს ის მთლიანად დატვირთული იყო.

სანგრევი საკმაოდ იყო გამაგრებული და განათებული, მადნის აფეთქება იმდენად ეფექტიური იყო, რომ ის უზრუნველყოფდა მუშაობის უწყვეტლივ წარმოებას.

რა მივიღეთ ასეთი მუშაობის შედეგად? ის რომ ამხ. სამხარაძემ ნაცვლად 9,8 ტონა მარგანეცის მონგრევა - დატვირთვისა, გამონგრია და დატვირთა 55 ტონა მარგანეცი. დღიური გეგმის 555 პროცენტი.

ამხ. ვასილ სამხარაძე არავითარი ზებუნებრივი ძალის პატრონი არ არის. მართალია, ის ბეჯითი მომუშავეა, მაგრამ მის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა შრომის სწორმა ორგანიზაციამ.

ამხ. ვასილ სამხარაძის მივყევით ჩვენც და ახლა თვითეული ჩვენგანი დღიურ ნორმას 300—500 პროცენტით ვასრულებთ, თვითეული ჩვენთაგანი დღიურად 30—60 მანეთამდე აკეთებს.

ახლა ჩვენ სიცილს ვერ ვიკავებთ, როცა ვხვდებით ჩვენი ტრესტის დანორმვის ბიუროს წევრებს [illegible], რომ ჩვენმა ამხანაგმა მუშამ დონბასელმა მემაღაროელმა სტახანოვმა ყირამალა დააყენა ნორმადარების მიერ გამომუშავებული „ტექნიკურად შესაძლებელი და დასაბუთებული ნორმები“.

ჯერ თვე არ არის, რაც ჩვენ პრაქტიკულად ხელი მოვკიდეთ სტახანოვური მეთოდით მუშაობას და პირველი ბრწყინვალე შედეგი უკვე გვაქვს. აი მაგ., ამხ. ლავრენტი, შენი სახელობის მაღარო, სამწუხაროდ, ოქტომბრის თვეში სამარცხვინო გარღვევის რკალში იყო მოქცეული. ეს გარღვევა სტახანოვური მეთოდით მუშაობამ გამოასწორა ახლა შენი სახელობის მაღაროები წითელ დაფაზეა.

სულ მალე, როცა ჩვენს წარმოებას მთლიანად გადავიყვანთ მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე, ჩვენ არ დაგვჭირდება მუშა - ხელის ძებნა.

ჩვენ უკვე დავიწყეთ სტახანოვურად, ვიტყოდით, სტალინურად მუშაობა, რადგან იგია ამ მოძრაობის გამომწვევი, მისი სულის ჩამდგომელი, რადგან ლენინურმა პარტიამ, მისმა გენიოსმა მესაჭემ ამხ. სტალინმა გაგვიხსნა გზა ამ მოძრაობისაკენ.

ამხ ლენინის, სტალინის, და შენი სახელობის მაღაროებში უკვე შექმნილია სტახანოველთა მტკიცე კადრები, რომელთა მეშვეობით სწარმოებს შეუპოვარი ბრძოლა მარგანეცის ფრონტზე არსებულ ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის. ამხ. სტალინის სახელობის მაღაროში ორი ბრიგადა მთლიანად გადასულია მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე, ისინი ყოველდღიურ გეგმას 250—300 პროცენტით ასრულებენ.

რა დაგიმალოთ, ამხ. ლავრენტი, დღემდე ჩვენ არ ავითვისებია მთელი რიგი ძვირფასი მანქანებისა, როგორიც არის საყელადი მანქანა. ელ-ბურღები, ელ-ჩაქუჩები და სხვა.

ჩვენს შორის ჯერ კიდევ არიან ინჟინერ ტექნიკოსები და სამეურნეო მუშაკები, რომლებსაც ვერ შეუთვისებიათ სტახანოველთა მოძრაობის, მზარდი სოციალისტური ტექნიკის ათვისების მნიშვნელობა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სტახანოველთა მოძრაობის წინააღმდეგ შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ ბიუროკრატები და კლასობრივად მტრული ელემენტები.

სულ მალე ჩვენში წერაქვს, ნიჩაბს და ცხენებს შეცვლის ძვირფასი მანქანები. მაშინ დღევანდელი ნორმები მართლაც სასაცილო იქნება.

ძვირფასო ამხ. ლავრენტი, მიიღე ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა პირველი შეკრების მხურვალე სალამი!

ჩვენს რიგებში დღეს ჩვენ ვითვლით 100-ზე მეტ მუშა - სტახანოველს.

სტალინის ბრძნული მითითებით, თქვენი დახმარებით და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ცოცხალი ხელმძღვანელობით, იმ პარტიულ ორგანიზაციის, რომელსაც დიდმა ბელადმა სტალინმა ჩაუყარა საფუძველი, ჩვენ ერთი ათად გავამრავლებთ სტახანოველთა რიგებს და უკლებლივ მივსცემთ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას მილიონ ას ორმოცდა ათი ათას ტონა მაღალ-ხარისხოვან მარგანეცს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენ მესაჭეს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს ა.-კ. ბოლშევიკების ღირსეულ წინამძღოლს ამხ. ლავრენტის!

სანქციათა დიდი კომიტეტის სხდომა

ჟენევა, 2 ნოემბერი. დღეს, საღამოს, ვასკონსელოსის თავმჯდომარეობით შესდგა კოორდინაციის დიდი კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ ეკონომიური სანქციები იტალიის წინააღმდეგ უნდა შევიდეს ძალაში 18 ნოემბრიდან. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ 39 სახელმწიფომ — ერთა ლიგის წევრებმა შემოიღეს იტალიის ფინანსიური ბოიკოტის ღონისძიებანი და 10 სახელმწიფო დასთანხმდა გამოიყენოს ასეთივე ზომები. კოორდინაციის კომიტეტი მოუწოდებს ყველა მთავრობას გააკეთონ ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ფინანსიური სანქციები შევიდეს იურიდიულ ძალაში არა უგვიანეს 18 ნოემბრისა.

იმავე სხდომაზე გაკეთებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი განცხადებანი. ლავალმა განაცხადა, საფრანგეთი ლოიალურად გამოიყენებს ერთა ლიგის პაქტს. ამავე დროს მან თავის მოვალეობად მიაჩნია მიაღწიოს „კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას“, საფრანგეთის და ბრიტანეთის მთავრობები დათანხმდნენ ითანამშრომლონ ამ სფეროში. საფრანგეთს, — განაგრძობს ლავალი, — ამას განსაკუთრებული ძალით ავალებს იტალიასთან დადებული მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია 1935 წლის 7 იანვარს. „მხოლოდ ერთა ლიგის ჩარჩოებში შეიძლება შესწავლილ იქნას წინადადებანი და მიღებულ იქნას გადაწყვეტილებანი“ — დასძინა ლავალმა.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხორმა განაცხადა: „ჩვენ იძულებული ვიყავით უდიდესი მწუხარების გრძნობით მიგვეღო ეს ზომები. თუ ლიგას სურს შეინარჩუნოს თავისი გავლენა, კოლექტიური მოქმედება აუცილებელია. ჩვენი მიზანი — დავაჩქაროთ ომის დასასრული“. შემდეგ ხორმა განაცხადა, რომ მთლიანად იწონებს ლავალის განცხადებას. „ამჟამად ჩვენ არ გვაქვს წინადადებანი, რომლებიც შეგვეძლო წარგვედგინა საბჭოსათვის, — სთქვა ხორმა. შესაძლოა, რომ პრობლემის სირთულე მოითხოვს ერთგვარ დროს წინადადებათა შესამუშავებლად. არავის შეუძლია გაითვალისწინოს — ნაყოფიერი იქნება თუ არა ჩვენი ცდა ვიპოვოთ ბაზა კონფლიქტის გადასაჭრელად“. დასასრულ ხორმა აღნიშნა, რომ კომპრომისი მისაღები უნდა იყოს იტალიისა, აბისინიისა და ერთა ლიგისათვის.

ბელგიის პრემიერმა ვან ზეელანდმა მოითხოვა, რომ ერთა ლიგამ მოცემული კრების სახით მისცეს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს ისეთი კომპრომისის გამოძებნის მანდატი, რომელიც მისაღები იქნება იტალიისა, აბისინიისა და ერთა ლიგისათვის. თავისთავად ცხადია, კომპრომისის ეს გამოძებნა, ვან ზეელანდის აზრით, უნდა ხდებოდეს ერთა ლიგის კონტროლით.

საბჭოთა დელეგატი ამხ. პოტიომკინი გამოვიდა შემდეგი განცხადებით:

„მე ვიღებ სიტყვას იმისათვის, რომ აღვნიშნო იმ ღონისძიებათა დადებითი მნიშვნელობა, რომლებსაც მივმართავთ ერთა ლიგის ჩარჩოებში ორ სრულუფლებიან ხალხს შორის კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის. აფრიკაში ომი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ჯერ კიდევ იღვრება სისხლი აბისინიის მიწა-წყალზე. ერთა ლიგამ უკვე დაგმო წესდების დარღვევა, მისი მექანიზმი ამოძრავებულია. გაივლის რამდენიმე დღე და ერთა ლიგა თავისი არსებობის განმავლობაში პირველად დაიწყებს იმ ღონისძიებათა გამოყენებას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ომის შეწყვეტას და მშვიდობიანობის აღდგენას კოლექტიური უშიშროების საფუძველზე.

ეს ღონისძიებანი, როგორც პირველი ცდა, არ არიან თავისუფალი დეფექტებისაგან. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთსულოვნურად, მთლიანად და ლოიალურად იქნებიან გამოყენებული, მათ შეუძლიათ მოგვცენ ერთგვარი დადებითი შედეგი. მათ მიღებას თან ხლდევდა მერყეობანი და ცალკეული გადახრებიც კი. მაგრამ ერთა ლიგის წევრთა უმრავლესობამ ისინი გადაჭრით და სწრაფად მიიღო. სანქციების განხორციელება მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ რა ფასი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი, თუ საქმე მშვიდობიანობის დაცვას ეხება. სწორედ ამ კეთილდღეობის შესანარჩუნებლად ამოძრავდნენ ერთა ლიგაში შემავალი სახელმწიფოები. ეს მოძრაობა თავისუფალი და უნივერსალურია. ხალხები, რომლებიც მასში მონაწილეობას ღებულობენ, აღფრთოვანებული არიან მისწრაფებით გაერთიანდნენ საერთო საფრთხის წინაშე. როგორც ჩანს, ყველა იწყებს იმის შეგნებას, რომ მშვიდობიანობა მართლაც განუყოფელია. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი იწყებს შეგნებას, რომ არ არსებობს არსებითი განსხვავება ახლობელ და შორეულ კონფლიქტს შორის, რომელიც აფრიკაში ან ევროპაში ხდება. კონფლიქტის ლოკალიზაციის იდეა აუცილებლად გამოიწვევდა აგრესორისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭებას. იგი ეწინააღმდეგება ერთა ლიგის მოწოდებას და აუცილებელ საჭიროებას თავიდან ავიცილოთ მსოფლიო კატასტროფა და ჩანასახშივე მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია. ამის უდიდესად სწორი საშუალება იქნება ის, რომ ვიმოქმედოთ კოლექტიურად და მტკიცედ. შეიძლება სერიოზულმა ღონისძიებებმა, რომლებსაც ჩვენ ერთად ვღებულობთ, განამტკიცონ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის შანსები. შეიძლება მათ გააადვილონ ამ მიზნისაკენ მიმართული ღონისძიებათა დაგვირგვინება. თუ სანქციების გამოყენებამდე მოხდებოდა მხარეების შერიგება ერთა ლიგის წესდების საფუძველზე მის წევრთა დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და თანასწორობის პრინციპების დაცვით, საბჭოთა დელეგატები პირველი მიესალმებოდნენ ასეთ შედეგს. ასეთ შემთხვევაში ერთა ლიგის ახლანდელი მობილიზაცია იქნება უძვირფასესი გამოცდილება მომავლისათვის. იგი ყველას დაანახვებდა, რომ ერთა ლიგაში შემავალი ხალხები მუდამ მზად არიან გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ მშვიდობიანობის დარღვევის ყოველგვარ ცდას.

მადარიაგამ (ესპანეთი), მოტტამ (შვეიცარია), გინაზუმ (არგენტინა) და ტუდელამ (პერუ) მხარი დაუჭირეს ვან ზეელანდის წინადადებას.

მეორეს მხრით ტიტულესკუმ მცირე და ბალკანეთის ანტანტების სახელით განაცხადა, რომ ორივე ანტანტა მიისწრაფის ისეთი მშვიდობიანობისაკენ, რომელიც განხორციელებული უნდა იქნას ერთა ლიგის ჩარჩოებში და წესდების ძირითადი პრინციპების საფუძველზე. ამიტომ ისინი „მუდამ დაუჭერენ მხარს იმათ, ვინც მუშაობს მშვიდობიანობის საქმისათვის ერთა ლიგის მეშვეობით, ერთა ლიგასთან ერთად და ლიგის გულისათვის. მათ შეგნებული აქვთ, რომ ამ გზის მტკიცედ დაცვით ისინი შესძლებენ შეათავსონ თავიანთი საერთაშორისო ვალი გულწრფელ მეგობრობასთან, რომელიც მათ იტალიასთან აკავშირებს“.

პოლონეთის დელეგატმა კომარნიცკიმ განაცხადა, რომ კოორდინაციის კომიტეტი არ არის უფლებამოსილი მისცეს საფრანგეთის და ბრიტანეთის მთავრობებს მანდატი, რომლის შესახებაც ვან ზეელანდი ლაპარაკობდა. ასეთი უფლება აქვს მხოლოდ ლიგის საბჭოს.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ ვასკონსელოსმა გამოსთქვა აზრი, რომ კრებამ უნდა მიიღოს ცნობად და მოიწონოს ვან ზეელანდის სურვილი, ვინაიდან იგი შეეფერება ლიგის სულსა და პროცედურას, ლიგის, რომელიც მოითხოვს იმას, რომ შერიგების შესაძლებლობა მუდამ ღია იყოს. ამით დამთავრდა კომიტეტის სხდომა.

4 ნოემბერს შეიკრიბება ეკონომიური ქვეკომიტეტი, 6 ნოემბერს — 18-თა კომიტეტი.

ეკონომიურმა ქვეკომიტეტმა უნდა განიხილოს ისეთი საკითხი, როგორიცაა ნავთის, ქვანახშირის, რკინის და ფოლადის გატანის აკრძალვა იტალიაში (ყველა ეს პროდუქტი არ არის შეტანილი იმ სიაში, რომელსაც № 4 წინადადება შეიცავს).

წინადადება ასეთი აკრძალვის შესახებ 18-თა კომიტეტის დღევანდელი დილის სხდომაზე შემოიტანა კანადის წარმომადგენელმა და გადაეცა ეკონომიურ ქვეკომიტეტს. იტალიაში რკინისა და ფოლადის შეტანის აკრძალვას განსაკუთრებით მოითხოვდა ესპანეთის წარმომადგენელი.

18-თა კომიტეტის დღევანდელ დილის სხდომაზე ყველაზე საინტერესო მომენტი იყო მთელი რიგი სახელმწიფოების ერთსულოვანი გამოსვლა შვეიცარიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ მისი საკუთარი ნეიტრალიტეტის დაცვა მოითხოვს ემბარგოს შემოღებას იტალიისთვისაც და აბისინიისთვისაც. საფრანგეთის დელეგაცია გამოვიდა მკაცრი დეკლარაციით, რომელიც ამბობს, რომ შვეიცარიელთა საქციელი არ შეეფერება ერთა ლიგის წევრთა ვალდებულებებს და მას შეუძლია შექმნას საშიში პრეცედენტი. ფრანგებს მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, მცირე და ბალკანეთის ანტანტების დელეგატებმა.

რაც შეეხება დღის პოლიტიკურ შედეგებს, კულუარებში ძალიან გაცხოველებით უკეთებდნენ კომენტარიებს ვან ზეელანდის წინადადებას. იუწყებიან, რომ ლავალმა თავმჯდომარის ეს წინადადება და განმარტება გაიგო როგორც თავისი ხაზის გამარჯვება იტალია-აბისინიის კონფლიქტში. მაგრამ თვით ვან ზეელანდმა რამდენადმე დაარღვია ეს შთაბეჭდილება, როცა მან კულუარებში ბევრი ჟურნალისტის თანდასწრებით ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენ მოვიმოქმედეთ ეს იმისათვის, რომ დავაბრუნოთ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ერთა ლიგის წიაღში“. საჭიროა აღინიშნოს, რომ ინგლისელებიც, რომლებმაც მოაწყეს ვან ზეელანდის გამოსვლა, არაოფიციალურ ლაპარაკში ამას განმარტავენ სწორედ იმ მისწრაფებით, რომ ლავალის შემდგომი ინიციატივა მოაქციონ ერთა ლიგის ერთგვარი კონტროლის ქვეშ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. პოტიომკინის განცხადებამ. ამხ. პოტიომკინის გამოსვლის ერთერთ თავისებურებად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მისი სახით საბჭოთა მთავრობა დაჟინებით მოითხოვს არა მარტო ერთა ლიგის პროცედურის დაცვას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ძებნაში, არამედ იმასაც, რომ თვით გადაწყვეტილების რაობა შეეფერებოდეს ერთა ლიგის სულს, მასში შემავალ ხალხთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპს.

□ □ □

იტალია-აბისინიის ომი

იტალიელებმა განაახლეს შეტევა

რომი, 3 ნოემბერი. ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან, რომ 3 ნოემბერს, დილით, იტალიის ჯარებმა განაახლეს შეტევა მთელ ფრონტზე. იმავე ცნობით იტალიის ჯარები უტევენ დოლოსა და მაკალეს მიმართულებით. სომალის ფრონტზე იტალიის ჯარები ოპერაციას ავითარებენ ოგადენის რაიონში.

ლონდონი, 3 ნოემბერი. ადის-აბებიდან იუწყებიან, რომ დანაკილის პროვინციაში (ჩრდილო-აღმოსავლ. ფრონტი) პარტიზანული მოქმედებით დემორალიზებულია იტალიის ჯარები, რომელნიც მუსა ალის მთის რაიონში არიან დაბანაკებული. ღამის თავდასხმებით იტალიელთათვის მიყენებული ზარალი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ იტალიის სარდლობა იძულებული შეიქნა ფლანგების დასაცავად დიდი საკავალერიო ნაწილები გამოეყვანა. ჩრდილოეთის ფრონტზე აბისინიის ჯარი არ აპირებს იტალიელთათვის წინააღმდეგობის გაწევას, ვიდრე ისინი მიაღწევენ მთიან რაიონებს მაგდალასთან.

ჯიბუტიდან იუწყებიან, რომ ოგადენის ფრონტზე იტალიის ჯარის მარცხენა ფრთას, რომელიც მდინარე ვები შიბელის მიყოლებით მოძრაობს, საჩქაროდ ავსებენ ახალი ნაწილებით, რომელნიც მოგადიშოდან მოდიან.

იტალიის ჯარის ერთი კოლონა გელედიდან ჩრდილოეთისკენ მიდის. ამავე დროს იტალიის ჯარის დიდმა ნაწილებმა მარჯვენა ფლანგზე გაასწორეს ფრონტი, შეუტიეს აღმოსავლეთისკენ და დაიკავეს ლებაბა, გოდევი და ბულეი. აგრეთვე გერლოგუბი და ჩრდილოეთის საქარავნო გზა, რომელიც მიდის სასა-ბინესკენ, სადაც თავმოყრილია აბისინიის 14 ათასი ჯარი.

ოგადენის ფრონტის სარდალმა გენერალმა ნასიბუმ იტალიელთა შეტევასთან დაკავშირებით მიმართა ნეგუსს თხოვნით, რაც შეიძლება მეტი ახალი სისტემის შაშხანა და საჭურველი მოაწოდეო (ადს).

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სასამართლო

არის ასეთი ამერიკული თქმულება: „თუ თქვენ ნაჭერ პურს მოიპარავთ, საპყრობილეში ჩაგსვამენ, ხოლო თუ რკინიგზას მოიპარავთ, სენატორად დაგნიშნავენო". ამ მოკლე ფორმულაში მოცემულია კაპიტალისტური მსოფლიოს სასამართლოს მკვეთრი დახასიათება. სწორედ იმ სასამართლოს დახასიათება, რომელსაც ლენინი სთვლიდა ექსპლოატატორთა შეუბრალებელი დათრგუნვის მოქნილ იარაღად, ისეთ ორგანოდ, რომელიც „ფულის ქისის ინტერესებს" იცავს. მოსამართლის პატიოსნება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფრიად შედარებითი ცნებაა.

ბალზაკი ერთერთ თავის ნაწარმოებში მოგვითხრობს სასამართლოს გამომძიებელ კამიუზოს ისტორიას. ამ გულუბრყვილო პროვინციელს სურს პატიოსანი იყოს. იგი ცდილობს, კანონს ერთგულად და ზუსტად მისდიოს და აპირებს ბრალდებულთა სკამზე დასვას ერთი წარჩინებული არამზადა. გენერალური პროკურორი იბარებს კამიუზოს და აგრძნობინებს, გამომძიებლის გამარჯვება ბოროტმოქმედზე გამომძიებლის დამარცხებას გამოიწვევს. პარიზის ზოგიერთი წარჩინებული გვარი დაინტერესებულია, რომ საქმე არ გახმაურდეს. კამიუზო მიხვდა, და შავი თეთრად იქცა.

1917 წლის დიდმა პროლეტარულმა რევოლუციამ, მთელ ძველ სახელმწიფო აპარატთან ერთად, ძირფესვიანად დაანგრია ის დამპალი შენობაც, რომელსაც მეფის სასამართლო ეწოდებოდა. ჩვენ შევქმენით ჩვენი პროლეტარული, სახალხო სასამართლო, მუშათა კლასის დიქტატურის იარაღი. ისტორიაში ეს პირველი სასამართლოა, რომელიც საბანკო კანტორების დანამატს არ წარმოადგენს, რომელიც ემსახურება არა ერთ მუჭა მდიდრებს, არამედ ხალხს. ესაა სასამართლო, რომელიც დიდ როლს თამაშობს პარაზიტული კლასების ნაშთებთან ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, რევოლუციური კანონიერების დამყარებაში. ჩვენი სასამართლო გულისხმიერია უსამართლოდ შეურაცხყოფილისადმი და მკაცრია საბჭოთა კანონების დამრღვევისადმი, რა სახელწოდებისა და თანამდებობის პატრონიც იყოს ეს დამრღვევი. ტყუილად კი არ არის, რომ საბჭოთა სასამართლო ხალხის სულ ფართო ფენებში სავსებით დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს.

გაიზარდნენ სასამართლოს მუშაკნი, ბოლშევიკ მოსამართლეთა საკმაოდ კარგი კადრები, გამოცდილი, შემოწმებული, პოლიტიკურად და იურიდიულად მომზადებული კადრები. საბჭოთა სასამართლო დგას მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ინტერესთა სადარაჯოზე. თავის ყოველდღიურ მუშაობაში იგი იბრძვის ახალი კულტურისათვის, პროლეტარული მორალისათვის, ადამიანთა ახალი ურთიერთობისათვის, მასების შეგნების სოციალისტური გარდაქმნისათვის.

რა ამოცანები დგას ამჟამად საბჭოთა სასამართლოს წინაშე?

სოციალისტური საკუთრება ჩვენი წყობილების საფუძველია. სოციალისტური საკუთრების დაცვა უპირველესი ამოცანაა. ეს უნდა იყოს თავიდათავი საბჭოთა სასამართლოს მუშაობაში, იგი ულმობლად უნდა სჯიდეს ქურდებს, გამფლანგველებს, მძარცველებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სავაჭრო აპარატში შეპარულან. ხაზინის ქურდთა და დამტაცებელთა წინააღმდეგ საჩვენებელი პროცესების მოწყობით იგი უნდა ზრდიდეს მოსახლეობაში ხალხის ყოველი კაპეიკისათვის, მშენებლობაზე არსებული ყოველი ლურსმნისათვის, ყანის ყოველი თავთავისათვის პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობას.

„პრავდის" მოწინავე 4/XI

საბჭოთა სასამართლო, როგორც პროლეტარული დიქტატურის ორგანო, შეუბრალებელი უნდა იყოს კულაკის, სპეკულანტის, მავნებლების, სამშობლოს გამცემლების მიმართ.

ჩვენი მთავრობა სცემს ნათელ, მკვეთრ დეკრეტებს, რომელთა მიზანია მშრომელთა ცხოვრებისა და ყოფის გაუმჯობესება. საბჭოთა სასამართლო უნდა სჯიდეს ბიუროკრატებსა და უთავოებს, რომლებიც ამახინჯებენ პროლეტარულ სახელმწიფოს კანონთა აზრსა და მიზანს.

სასამართლოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ნაკარნახევია სტალინური ლოზუნგით ადამიანთან გულისხმიერი დამოკიდებულების შესახებ. იგი სასტიკად უნდა სჯიდეს ჩინოვნიკებს, ცილისმწამებლებს, არამზადებს, რომლებიც პატიოსან მუშაკებს სდევნიან, რომლებიც უტიფრად დასცინიან ადამიანის ღირსებას.

ჩვენს ქვეყანას უფლება აქვს იამაყოს საბჭოთა სასამართლოთი, როგორც პროლეტარული რევოლუციის დიდი მიღწევით. მით უფრო ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებანი, რომლებითაც ჯერ კიდევ დაავადებულია საბჭოთა იუსტიციის ცალკეული უბნები.

პრესაში ხშირად გვხვდება სიგნალები,—მოსამართლეები ლიბერალური ლმობიერებით ეკიდებიან ბიუროკრატებს და საქმის გაჭიანურებლებს, საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლებს, ზარმაცებსა და სიმულანტებს, საბჭოთა კანონების დამამახინჯებლებს, ადამიანებს, რომლებიც ქალს ქმრულად ეპყრობიან. ბოროტი ცილისწამებლის გასამართლება იშვიათი მოვლენაა. ეგრეთ წოდებული „საალიმენტო საქმეები" სასამართლოებში თვეობით გაურჩეველი ჰყრია. საბინაო საკითხებზე სასამართლოებში ხშირად სრული დომხალი და დავიდარაბა სუფევს. საქმის გაჭიანურება, სამწუხაროდ, ჩვენს სასამართლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ეს ბოროტება, რომელსაც გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ. განა ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი სასამართლო საქმეები, რომლებიც მთელი წლობით და უფრო მეტ ხანსაც კი აჭიანურებენ?

სადაა ამ ბოროტების წყარო? აქ, ისე როგორც ყველაფერში, კადრები სწყვეტენ ყველაფერს. მაგრამ სახალხო მოსამართლეებად მუშაკთა შერჩევას ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაცია არასერიოზულად ეკიდება. ისინი ხშირად სასამართლოს ორგანოებში სამუშაოდ გზავნიან ნაკლებად მოძრავ, პოლიტიკურად უვიც ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა სამართლის პრინციპებში სუსტად ერკვევიან. აქედან წარმოსდგება აბნეული, უაზრო დადგენილებანი, რომელთა გაუქმება, ახალი განხილვისათვის, დამატებით გამოძიებისათვის გადაცემა რამდენიმეჯერ უხდებათ ზემდგომ ინსტანციებს.

ხოლო კარგ მოსამართლეს, კარგ გამომძიებელს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, ავტორიტეტს არ უქმნიან, მუშაობაში არ ეხმარებიან. მოსამართლისადმი ყურადღება ხშირად განისაზღვრება იმით, რომ მას წამდაუწუმ სხვადასხვა მიმდინარე კამპანიისათვის მობილიზაციას უშვებიან. ზოგჯერ სასამართლო კამერა მთელი თვეობით გამოკეტილია. საქმეები გროვდება და თვეობით უძრავად აწყვია.

სასამართლოს მდივნად ადგილობრივი ორგანოები მეტწილად გამოყოფენ ხოლმე ასე თუ ისე მცოდნე ახალგაზრდას. აბა, ერთი სცადეთ, და რამე გაიგეთ სასამართლოს სხდომის ოქმიდან, რომელსაც ასეთი მდივანი თხზავს. ნაციონალურ რესპუბლიკებში მდივნებად ხშირად არიან ყოფილი სასულიერო პირნი ან ბაიების შვილები. კასიმოვის და სასამართლოს სხვა მუშაკთა საქმის გამო სამარყანდში გამართულ ცნობილ პროცესზე გამოირკვა: მდივანი ისე სწერდა ოქმს, რომ ბრალდების მოწმეთა ყველა ჩვენება დაცვის სიტყვებად გადაიქცა.

ჩვენში ბევრი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტს, როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მასების ჩაბმის ფორმას, როგორც იურიდიული აღზრდის ფორმას. სახალხო მსაჯულებად ნაკლებად—აქტიურ ადამიანებს ირჩევენ. გარდა ამისა, მათთან არავითარ მუშაობას არ ეწევიან სამართლის დარგში.

ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, საბჭოთა სასამართლო არის აღზრდის იარაღი, მასებზე პოლიტიკური და კულტურული ზემოქმედების იარაღი. სასამართლო თავისი გარეგნობითაც კი უნდა უნერგავდეს ადამიანს კანონის პატივისცემას. ქალაქის საბჭოები კი სასამართლოს ხშირად ყველაზე დახავსებულ ქოხმახებს უთმობენ. ამის მაგალითია ჩელიაბინსკის ქალაქის საბჭო.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ყურადღება კვლავ და კვლავ უნდა მივაქციოთ სასამართლოს მუშაკთა შერჩევას. აუცილებელია სასამართლოს ცოცხალი და ზუსტი მუშაობა. სასამართლო უნდა იბრძოდეს საქმის გაჭიანურების და არა ამრავლებდეს მას თავისი საკუთარი მაგალითით. სასამართლოს პრაქტიკაში უნდა აღმოიფხვრას ხრიკოსნობისა და ბიუროკრატიული ენის ნაშთები. ოქმი და განაჩენი გამართულად, ნათელი და გასაგები სიტყვებით უნდა იწერებოდეს, სასამართლო უფრო ხშირად უნდა გადიოდეს ადგილებზე—ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საბინაო ამხანაგობაში.

კიდევ უფრო მაღლა უნდა ავსწიოთ სახალხო სასამართლოს ავტორიტეტი. ყურადღებით და მზრუნველობით მოვეპყრათ საბჭოთა სასამართლოსა და სასამართლოს მუშაკებს, რომლებიც ბოლშევიკურად ასრულებენ პარტიისა და სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ დიდ, პასუხსაგებ და საპატიო ამოცანას—იბრძოლონ დიდი პროლეტარული რევოლუციის მიერ გამოცხადებული კანონებისათვის.

ჩამოდიან უცხოეთის მუშათა დელეგაციები

მოსკოვი, 4 ნოემბერი. („კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტისაგან). ხვალ ლენინგრადში საზღვარგარეთიდან ოქტომბრის დღესასწაულებზე ჩამოდიან პირველი პროლეტარული სტუმრები. ზღვით ჩამოვლენ სკანდინავიის ქვეყნების, ინგლისის, სამხრეთ აფრიკის უცხოელ მუშათა დელეგაციები. ინგლისის მუშათა დელეგაციაში შედის 13 კაცი, მათ შორის, ადგილობრივი ტრანსპორტის 3 მუშა, 3 მაღაროელი, 2 რკინიგზელი, 2 მეზღვაური, 1 ელექტრომექანიკოსი, 2 მუშა ქალი.

ინგლისიდან კიდევ მოელიან დელეგატებს. მუშათა დელეგაციის ახლადარჩეული შემადგენლობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ინგლისის პროფკავშირთა აქტიური მონაწილეობა მის არჩევაში. ეს გამოხატავს იმას, რომ ძირეული ტრედიუნიონების წევრთა შორის იზრდება ინტერესი და სიმპატიები სოციალიზმის ქვეყნისადმი.

იგივე უნდა ითქვას სკანდინავიის ქვეყნების დელეგატთა შემადგენლობაზე. შვეციის მუშათა დელეგაციაში, რომელიც 17 კაცისაგან შესდგება, ბევრია პროფმუშაკი, მათ შორის შვეციის ადგილობრივ ცენტრალურ პროფკავშირთა ამხანაგობების თავმჯდომარეები და წევრები, როგორც, მაგალითად, ქიმიკოს მუშათა კავშირის თავმჯდომარე. ასევე ნორვეგიის მუშათა დელეგაციაც, რომელშიაც ირიცხება 13 კაცი — ყველა ნორვეგიის მუშათა პარტიის წევრი — და დანიის დელეგაციაც. სამხრეთ აფრიკიდან ჩამოდის 6 დელეგატი, მათ შორის არის ორი მკერავი ქალი.

მიღებულია ცნობები ბელგიის დელეგაციის შემადგენლობის შესახებ. დღემდე არჩეულია 7 კაცი —2 დელეგატი გენტიდან და 5 ანტვერპენიდან. გენტის დელეგატებად არჩეული არიან ფლანდრიის სოციალისტურ პროფკავშირთა გენერალური მდივანი (ეს პროფკავშირები 250 ათას წევრს აერთიანებენ) და გენტის მეტალისტთა კავშირის მდივანი. ანტვერპენის მუშებისაგან არჩეულია ბელგიის მეზღვაურთა და ნავსადგურების მუშათა კავშირის გამგეობის წევრი, ბელგიის მუშათა პარტიის ერთერთი რაიონული კომიტეტის მდივანი და კოოპერატიული კავშირის თავმჯდომარე. ეს კავშირი 200 ათას წევრს აერთიანებს.

საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისარი

დ. ქუჩულორია

საქონელბრუნვა ოქტომბრის 18 წლისთავზე

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავზე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ისე ჩვენშიც მეურნეობის კაპიტალისტური წყობა და, აგრეთვე კერძო კაპიტალისტური ვაჭრობა ლიკვიდირებულია. ჩვენ გვაქვს საბჭოთა ვაჭრობა „დიდი და პატარა კაპიტალისტების გარეშე, ვაჭრობა დიდი და პატარა სპეკულანტების გარეშე". ახლა ჩვენი ამოცანაა დიდი სტალინის მითითების — „იდეალურად მოწესრიგებული საბჭოთა ვაჭრობის" განხორციელებისათვის ბრძოლა.

ყველა სასურსათო პროდუქტზე საბარათო სისტემის გაუქმება ნიშნავს, რომ ჩვენ სერიოზული ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით. ამას მოჰყვა მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობისა და, კერძოდ, რეალური სამუშაო ხელფასის შემდგომი გადიდება. საბჭოთა მანეთით შესაძლებელი გახდა უფრო მეტი საქონლის ყიდვა. ყოველ მშრომელს შეუზღუდავი რაოდენობით ეძლევა საჭირო პროდუქტები. მისი კეთილდღეობა ახლა დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რამდენს გამოიმუშავებს, რა ნაყოფიერებით იმუშავებს იგი საწარმოში.

უბარათებოდ ვაჭრობის პირველი თვის პრაქტიკამ საქართველოში გვიჩვენა, რომ მიმოქცევის ხარჯები სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში 16—18 პროცენტით შემცირდა, უფრო აჩქარდა საქონელბრუნვა და გამარტივდა სავაჭრო ქსელის საქმიანობა. ფულის ბრუნვის სისწრაფე გაიზარდა. მშრომელი მოსახლეობის სამომხმარებლო გემოვნებას ახლა დიდი ყურადღება ექცევა, შეიცვალა მისი დამოკიდებულებაც სავაჭრო ქსელთან.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და დროებითი სასაქონლო დეფიციტის პირობებში. ჩვენ შემოვიღეთ სხვადასხვა ფასები — კომერციული და ნორმირებული. კაპიტალისტური მეურნეობის ლიკვიდაციისა, სოციალისტური საწარმოო ძალების ზრდისა და პროდუქციის ორ-სამჯერ გადიდების შედეგად სხვადასხვა ფასებისა და ნორმირებული განაწილების დადებითი როლი ამოიწურა. საბჭოთა საქონელბრუნვა ემსახურება სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განმტკიცებას.

მეორე ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო დავალებანი საქონელბრუნვის განვითარების დარგში საქართველოში ძირითადად სამ წელში განხორციელდა. მაგალითად, საცალო ბრუნვა გამოიხატებოდა:

1932 წელს	— 820,3	მილ.	მან.
1933 "	—1.055,1	"	"
934 "	—1.267,0	"	"
1935 " (9 თვეში)	—1.274,6	"	"

მიმდინარე წლის 9 თვის ფაქტიურ საქონელბრუნვას მეოთხე კვარტალის მოსალოდნელი შესრულების მაჩვენებელს, თუ მივუმატებთ წინასწარ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1935 წლის საცალო საქონელბრუნვის გეგმა (1615200 ათასი მანეთი) გადაჭარბებით შესრულდება. ეს ნიშნავს მეორე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში საქონელბრუნვის ერთიორად გადიდებას. თუ ამას დავუმატებთ საკოლმეურნეო და საბაზრო საქონელბრუნვას, რაც ჩვენში ინტენსიურად ვითარდება, მაშინ ნათლად წარმოგვიდგება საცალო საქონელბრუნვის უდიდესი მიღწევები ოქტომბრის 18 წლისთავზე.

საკოლმეურნეო ვაჭრობა 1935 წლის სამ კვარტალში შეადგენს 180 მილ. მანეთს წინააღმდეგ 14,7 მილ. მანეთისა 1932 წ. მრეწველობის პროდუქციის საცალო ფასების სისტემატურ შემცირებასთან ერთად ჩვენში მცირდებოდა და მცირდება საბაზრო ფასები საკოლმეურნეო ვაჭრობის პროდუქტებზე. მიმდინარე წელს საქართველოში ჩვენ მოვაწყეთ სავაზაფხულო და საზაფხულო ბაზრობა, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს საშემოდგომო-სადღესასწაულო ბაზრობა.

ამ ღონისძიების გატარების შედეგად ჩვენ მივიღეთ როგორც სასოფლო, ისე საქალაქო საქონელბრუნვის ზრდა და საკოლმეურნეო პროდუქტების ფასების შემცირება. მაგალითად, წელს ხორცეული პროდუქტების საბაზრო ფასები ჩვენში შემცირდა 31 პროცენტით, ბოსტნეულის — 39,4 პროცენტით, კარტოფილის — 41,7 პროც. და სხვ. ცხადია, რომ ერთიანი სახელმწიფო ფასების შემოღებისა და საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ საბაზრო ფასები ჩვენში კიდევ უფრო შემცირდება. საბაზრო ვაჭრობის ორგანიზაციის მხრით საქართველო საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგში ჩადგა.

იზრდება მუშათა მომარაგების ფონდები. საშუალო კვარტალური (ნორმალური) სამრეწველო ფონდის მოძრაობა 1932-35 წ. წ. შემდეგ სურათს იძლევა:

1932 წელს	— 266,9	ათასი	მანეთი
1933 "	—2.800,	"	"
1934 "	—5.000,0	"	"
1935 "	—7.240,0	"	"

საზოგადო კვებისა და პურით თავისუფალი ვაჭრობის განვითარება გავლილ პერიოდში არ ჩამორჩება საქონელბრუნვის [illegible] საერთო მაჩვენებლებს. 1933 წელს საზოგადო კვების საცალო ბრუნვამ შეადგინა 134,1 მილ. მანეთი, 1934 წელს — 140,8 მილ. მანეთი, ხოლო 1935 წ. სამ კვარტალში 143,7 მილ. მანეთი. პურით თავისუფალი ვაჭრობის საცალო ბრუნვამ 1932 წელს შეადგინა 45,7 მილ. მანეთი, 1933 წელს — 173, 8 მილ. მანეთი, ხოლო 1935 წ. სამ კვარტალში — 201,8 მილ. მან.

საქონელბრუნვის ზრდა ჩვენში საბჭოთა ვაჭრობის სპეციალიზაციის ნიშნით მიმდინარეობს. ძირითადად ჩატარდა სავაჭრო ქსელის რეკონსტრუქცია. ქალაქის ბაზით დღეს მოგვეპოვება 764 სასურსათო და 697 სამრეწველო საქონლის სპეციალიზებული სავაჭრო, 1810 შერეული ტიპის სავაჭრო. ვაჭრობის სპეციალიზაციის პროცესი გაჩაღდა კერძოდ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო სისტემაში.

მთავარ ქალაქებში გახსნილია სახელმწიფო დარგობრივ გაერთიანებათა სავაჭრო ქსელი: „გასტრონომი", „ბაკალეა" და სხვ. კერძოდ ტფილისში გაიხსნა და უკვე ორი თვეა მუშაობს ამიერ-კავკასიაში უდიდესი უნივერსალური მაღაზია. მისი დღიური ბრუნვა აღწევს საშუალოდ 310—315 ათას მანეთს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმით გათვალისწინებულ დღიურ დავალებას. ამ მაღაზიებში შემოვიღეთ საქონლის ბინაზე მიტანის პრაქტიკა, რასაც შემდეგ უფრო განვავითარებთ.

სოფლად ვაჭრობის სპეციალიზაციისა და ქსელის რეკონსტრუქციის მხრითაც საკმაო ნაბიჯი გადაიდგა. რაიონებში გახსნილია 80 რაიუნივერმაღაზია და 29 რაიკულტმაღაზია. სანიმუშო წერტების რიცხვის ზრდა ერთობ მცირეა სოფლის ქსელის საერთო ოდენობასთან (3218 წერტილთან) შედარებით. მაგრამ აღნიშნულმა წერტებმა მაინც უდიდესი გავლენა მოახდინეს სოფლის საქონელბრუნვის ხარისხის ამაღლებაზე. ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას ახლა შეადგენს საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ა.-წ. 29 სექტემბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარება. ამ დადგენილებაში მოცემულია სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების და ქალაქად სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოების მეტად რადიკალური და ეფექტური ღონისძიებანი. ამ მიმართულებით მუშაობა ჩვენში უკვე დაიწყო და ახლო ხანში დამთავრდება.

იმ წარმატებებით, რაც ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავზე გვაქვს, ვერ დავკმაყოფილდებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ და ახალ გამარჯვებებს.

ტფილისის 26 კომუნარის სახელობის ქარხნის საბავშვო ბაღი სანიმუშოდ მუშაობს. აქ ბავშვებისათვის შეძენილია დიდძალი სათამაშოები. სურათზე ბაღის მორიგე ხელმძღვანელი ამხ. ჭათამაძე ქარხნის მუშების ბავშვებს ართობს სათამაშოებით.

აბისინიის ნეგუსის განცხადება

ლონდონი, 3 ნოემბერი. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ნეგუსმა განაცხადა, რომ მას არ მიუღია არავითარი პირდაპირი ან არაპირდაპირი წინადადება ზავის დადების შესახებ. როგორც ნეგუსი აცხადებს, ახლანდელი მომენტი ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი წინადადებისათვის.

როგორც ნეგუსმა მიუთითა, ფართოდ არის გავრცელებული ეჭვები იმის გამო, საკმარისი იქნება თუ არა ეკონომიური სანქციები აგრესორის მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად—და გამოსთქვა იმედი, რომ ევროპის სახელმწიფოები „გამოსძებნიან სხვა მეთოდებს" იტალიის აგრესიის წინააღმდეგ. დასასრულ ნეგუსმა კატეგორიულად უარჰყო ზავის პირობები იმ სახით, რა სახითაც მათ ამჟამად სთავაზობენ და განაცხადა, რომ აბისინია არ დასთანხმდება იმ დათმობებს, რომლებსაც ეს პირობები ითვალისწინებენ. (ადს).

სამეცნიერო მუშაობა საბჭოთა საქართველოში

პროლეტარულ რევოლუციამდე საქართველოში სამეცნიერო მუშაობაზე არსებითად ლაპარაკიც კი არ შეიძლება. იმ პერიოდში საქართველოში ერთი უმაღლესი სასწავლებელიც არ ყოფილა.

მენშევიკების დროს ტფილისში გაიხსნა უნივერსიტეტი, მაგრამ მას ინახავდნენ როგორც კერძო დაწესებულებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება სამეცნიერო მუშაობის აყვავება. უმაგალითოდ იზრდება უნივერსიტეტის საქმიანობა, იხსნება მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები, მრავლდებიან სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ კაცობრიობის ცოდნის სულ სხვადასხვა დარგებში.

სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობაში ერთერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო დაწესებულებებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის, მექანიკის და ფიზიკის ინსტიტუტს, რომელსაც სსრ. კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი — კორესპონდენტი პროფესორი ნ. მუსხელიშვილი მეთაურობს, მოეპოვება მდიდრულად მოწყობილი ფიზიკური ლაბორატორია სპეციალური კაბინეტებით ექსპერიმენტალური ფიზიკის, რენტგენოგრაფიის, მაგარი სხეულის ფიზიკის, ატომის ბირთვის და თეორიული ფიზიკის დარგში. იქმნება აეროდინამიკური ლაბორატორია. მათემატიკურმა სკოლამ, რომელიც წმინდა მათემატიკის, თეორიული მექანიკის, მათემატიკური ფიზიკის და სხვ. პრობლემებზე მუშაობს, მოკლე ხნის განმავლობაში ფრიად საპატიო ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში. მოცემულია მთელი რიგი ბრწყინვალე მოხსენებანი მათემატიკოსთა მე-3 საკავშირო ყრილობაზე. ბრწყინვალედ გამოდიოდა მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესზე ტორონტოში (კანადა) ამჟამად გარდაცვალებული პროფესორი ა. რაზმაძე. გამოცემულია მთელი რიგი ძვირფასი სამეცნიერო გამოკვლევანი.

გეოლოგიის ინსტიტუტთან, რომელსაც პროფესორი ა. ჯანელიძე მეთაურობს, მუშაობს ორი მუზეუმი: გეოლოგიური და მინერალოგიური, რომლებმაც შესძლეს შეეგროვებინათ მიწის წიაღის და მიწის ზედაპირის ქანების ძვირფასი კოლექციები. გეოლოგიური სკოლა პროფესორ ჯანელიძის ხელმძღვანელობით აწარმოებს ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის გეოლოგიის დეტალურად შესწავლას. გაღრმავებული მუშაობის ძირითად ცენტრებს წარმოადგენენ ძირულა და რაჭა. უნივერსიტეტის გეოლოგთა უახლოესი მონაწილეობით ჩატარდა ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის უდიდეს მშენებლობათა და დაპროექტებათა (ზაჰესი, რიონჰესი, ტყვარჩელი, ხრამჰესი, დაშკესანი და სხვ.) სამეცნიერო დასაბუთება.

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლისა და ათვისების დარგში უდიდესი მუშაობა ჩაატარეს მინერალოგ-პეტროგრაფთა სკოლის ხელმძღვანელმა პროფესორმა ა. თვალჭრელიძემ და მისმა მოწაფეებმა ფლორიდინის და ანდეზიტის გამოვლინება და ორგანიზაცია მოწმობენ, თუ რა განსაკუთრებული სამეცნიერო დამსახურება მიუძღვის პროფესორ თვალჭრელიძეს, რომელიც არის საქართველოს ს.ს.რ. ცაკის წევრი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფებმა ხანგრძლივი შეუპოვარი შრომის შედეგად შეისწავლეს რესპუბლიკის ყოველი კუთხე, დააზუსტეს ერთვერსტიანი რუკა, დაამუშავეს მთელი რიგი დარგობრივი რუკები, გამოუშვეს ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის გეოგრაფიის და სპეციალური მონოგრაფიების საერთო კურსები.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა, რომელსაც ცნობილი მეცნიერი — პროფესორი ი. ბერიტაშვილი მეთაურობს, აგრეთვე უდიდესი მუშაობა ჩაატარა. თავისი ექსპერიმენტალური ნაშრომებით ქუნთების ფიზიოლოგიის დარგში ბერიტაშვილის სკოლამ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა; ეს მუშაობა მან დაიწყო ბაყაყებზე პრიმიტიული ცდებით. ამჟამად ლაბორატორიას თავისი ნაშრომების მოცულობით და მოწყობილობის ხარისხით ერთერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. ლაბორატორიას აქვს მრავალი დაბეჭდილი ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტმა თავისი სექციებით — ქართული ენის, აღმოსავლური ენების, ქართული ლიტერატურის, რუსთაველის შესწავლის და სხვ. სექციებით — დიდი მუშაობა ჩაატარა ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის, პირველ რიგში საქართველოს, ხალხთა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მხრივ. უკვე სწარმოებს კოლოსალური მუშაობა იმისათვის, რომ დადგენილ იქნას მე-12 საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხვის ტყაოსნის" კრიტიკულად შემოწმებული ტექსტი. სპეციალური კომისია ამზადებს პოემის აკადემიურ გამოცემას. სწარმოებს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების ბიოგრაფიული და ისტორიულ-ფილოსოფიური საფუძვლების დამუშავება.

ბევრი რამ არის გაკეთებული თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესწავლის მხრივაც.

ყოველივე ეს სრულიადაც ვერ ამოსწურავს იმ სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას, რომელიც უნივერსიტეტის კედლებში სწარმოებს, თავი რომ დავანებოთ მრავალრიცხოვან სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებს, მუზეუმებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებათა განკარგულებაში იმყოფებიან (კურორტოლოგიისა და ფიზიატრიის, ბაქტერიოლოგიური, ტროპიკულ სნეულებათა სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტები, საქართველოს მუზეუმი, ტფილისის კომუნალური მუზეუმი და სხვ.).

საქართველოში უფრო და უფრო ფართოვდება სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი: დაწყებულია არქეოლოგიის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის, ადამიანის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისა და მოწყობის კაბინეტის, გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის და სხვ. მოწყობა.

O

1932 წელს ტფილისში მოეწყო ს.ს.რ. კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა.-კ. ფილიალი, რომელსაც ხელმძღვანელობდა განსვენებული აკადემიკოსი ნ. ი. მარი. წელს ა.-კ ფილიალი გადაკეთდა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად აკადემიკოს პისარჟევსკის ხელმძღვანელობით, ფილიალთან მოწყობილია ქიმიური, გეოფიზიკური, ბოტანიკური ინსტიტუტები და ბიოლოგიური, გეოლოგიური, ზოოლოგიური და ნიადაგის სექტორები. უკანასკნელ დროს მოეწყო მათემატიკის ახალი ინსტიტუტი და საწარმოო ძალთა შესწავლის სექტორი, ხოლო საქართველოს განსახკომის გამგებლობიდან ფილიალის სისტემას გადაეცა აბასთუმნის მაღალმთიანი ასტრო-ფიზიკური ობსერვატორია, ზოო-ბიოლოგიური სადგური (რომელიც გადაკეთებულია გენეტიკის და ჰიბრიდიზაციის ლაბორატორიად) და საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

ინსტიტუტები და სექტორები მუშაობენ საბჭოთა მეცნიერების ისეთ გამოჩენილ წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით, როგორიც არიან: აკადემიკოსები პისარჟევსკი და ი. ი. მეშჩანინოვი, მეცნიერებათა აკადემიის წევრები — კორესპონდენტები პროფესორები ნ. ი. მუსხელიშვილი და პ. მ. ნიკიფოროვი, პროფესორები ი. ს. ბერიტაშვილი, დ. ი. სოსნოვსკი, ა. ი. ჯანელიძე, ვ. გედევანიშვილი და სხვ.

ფილიალის მუშაობის გარდაქმნას, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ ყოველდღიური ხელმძღვანელობას და დახმარებას მისი საწარმოო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად — დიდი შედეგები მოჰყვა.

ქიმიური ინსტიტუტი, რომელსაც ორდენოსანი აკადემიკოსი ლ. ვ. პისარჟევსკი მეთაურობს, ფილიალის სხვა ინსტიტუტებს შორის წამყვან ინსტიტუტს წარმოადგენს. მან გასწია დიდი გამოყენებითი ხასიათის მუშაობა, როგორიცაა მარგანეცის ნალექის ქიმიური გაუხვება, ტყიბულის ფიქალთა ნაცრის გადამუშავება თიხნარად, ალუმინიტებისგან შაბის წარმოების რაციონალიზაცია, ლითონის ელექტროლიზური დაბურვა, აგრეთვე ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების დანერგვა ქიმიურ მრეწველობაში, თეორიულ განყოფილებაში, პირადად აკადემიკოს ლ. ვ. პისარჟევსკის და პროფ. მ. როზენბერგის ხელმძღვანელობით, შესრულებულია დიდი მუშაობა კატალიზის, ქიმიური კინეტიკის და კოლოიდების დარგში. წელს ინსტიტუტთან დაარსდა ასპირანტურა 9 მეცნიერი მუშაკის შემადგენლობით.

ბოტანიკურმა ინსტიტუტმა (დირექტორი — პროფ. დ. ი. სოსნოვსკი) გეობოტანიკური და პირუტყვის საკვების მხრივ გამოიკვლია და შეისწავლა 400 ათასამდე ჰექტარი მთიანი ველი და საძოვარი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე (აფხაზეთი, სვანეთი, მთის თუშეთი და სხვ.). ეს მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისა და ამაღლების პრობლემასთან, რომლის გადაწყვეტაც წარმატებით მიმდინარეობს. იმავე რაიონებში გამოკვლეულ იქნა ტყის მცენარეულობაც. ინსტიტუტში მთავრდება მუშაობა კავკასიის სამრეწველო ხის ჯიშთა მერქნის — ანატომიური შესწავლისათვის და ბამბისა და რამის ფიზიოლოგიის დარგში — ახალ რაიონებში მათ გასავრცელებლად. დიდი საცდელი მუშაობა სწარმოებს ხის ჯიშების აკლიმატიზაციისათვის გამწვანებისა და ტყის გაშენების მიზნით.

გეოფიზიკურმა ინსტიტუტმა (დირექტორი — მეცნიერებათა აკადემიის წევრი — კორესპონდენტი პროფ. პ. მ. ნიკიფოროვი.), სეისმოლოგიურ ინსტიტუტთან ერთად. შეასრულა საკავშირო მნიშვნელობის დიდი მუშაობა 19 ახალი გრავიომეტრიული პუნქტის გამოსარკვევად სვანეთსა, მთის რაჭასა, ფშავ-ხევსურეთსა და მთიან კახეთში, აგრეთვე მოახდინა განმეორებითი დაკვირვება საქართველოს და ოსეთის სამხედრო გზების 12 პუნქტში. დროის მიხედვით სიმძიმის ძალის ცვალებადობის გამოსარკვევად. უკანასკნელი მუშაობა საბჭოთა კავშირში ეს პირველად ჩატარდა.

აკად. ნ. ი. მარის სახელობის კავკასია-მცოდნეობის ინსტიტუტმა (დირექტორი — აკად. ი. ი. მეშჩანინოვი) დიდი მუშაობა გასწია ამიერ-კავკასიის, ძველი კავკასიის, ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა მატერიალური კულტურის და ფოლკლორის შესასწავლად. იბეჭდება და მალე გამოვა „კავკასიის სამთამადნო ისტორიის" პირველი ტომი. დაწყებულია დიდი მუშაობა „ამიერკავკასიის გეოგრაფიული სიტყვარის" შესადგენად. ეს ნაშრომი გამოვა ორ ტომად და შეიცავს ყველა გეოგრაფიული ობიექტის — დასახლებული ადგილების, დაბლობების, მთების, მდინარეების, ტბების და სხვათა სრულ სიას, მათ ფიზიკურ გეოგრაფიულ აღწერას და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის დახასიათებას.

ახლადდაარსებული მათემატიკური ინსტიტუტი (დირექტორი — მათემატიკის დოქტორი პროფ. ა. კუპრაძე) ამოცანად ისახავს გამოყენებითი მნიშვნელობის საკითხთა დამუშავებას. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ ისეთი ცნობილი მათემატიკოსები, როგორიც არიან აკად. ს. ნ. ბერნშტეინი, პროფესორები მ. ა. ლავრენტიევი, ნ. ი. მუსხელიშვილი და სხვ.

წელს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა ჩაატარა 12 სამეცნიერო ექსპედიცია და მონაწილეობა მიიღო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის სვანეთის კომპლექსურ ექსპედიციაში, რომელიც აკადემიკოს ფ. ი. ლევინსონ-ლესინგის ხელმძღვანელობით მუშაობდა. უხვადაა შეგროვილი მასალა სვანეთის გეოლოგიურ - პეტროგრაფიული დახასიათებისთვის გამოვლენილია სხვადასხვა იშვიათი მთამადნეული, შედგენილია სვანეთის მცენარეულობისა და ტყეების რუკა; გამოკვლეულია ძირულის მთის მასივი, სადაც აღმოჩენილია სხვადასხვა ძვირფასი მთამადნეული. ჩატარებულია ზემოთუშეთის მთის ველთა და საძოვართა პასპორტიზაცია.

სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ვ. ლ. კომაროვმა, რომელიც გაეცნო როგორც თვით ფილიალის, ისე მისი თვითეული სამეცნიერო დაწესებულების მუშაობას, აღიარა, საქართველოს ფილიალი არის ერთერთი მოწინავე დაწესებულება აკადემიის სისტემაში და მის მიერ დამუშავებულ პრობლემათა მნიშვნელობა ფრიად დიდია.

1936 წელს დაიწყება მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის საკუთარი შენობის აგება. ამ შენობის რამდენიმე კორპუსში მოთავსდება ფილიალის სისტემაში შემავალი ყველა სამეცნიერო დაწესებულება.

O

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 18 წლისთავს საბჭოთა საქართველოს სამეცნიერო ორგანიზაციები უდიდესი მიღწევებით ხვდებიან.

სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკური ფილიალი, ინსტიტუტები და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და დაწესებულებები თავის მუშაობას ეწევიან სახელმწიფო დაგეგმვის ორგანოებთან, სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოებთან, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებთან სრული შეთანხმებით და მათ სოციალურ დაკვეთას ასრულებენ.

საბჭოთა მეცნიერების მიერ საქართველოში მიღწეული წარმატებანი არის პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებათა სწორი განხორციელების შედეგი, იმ მუდმივი და ფართო დახმარების შედეგი, რომელსაც პროლეტარული სახელმწიფო უწევს მეცნიერებასა და მეცნიერ-მუშაკებს (ადს).

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ადიგენის სატყეო მეურნეობაში

სატყეო მრეწველობის ცალკე უბნები ვერ გრძნობენ უდიდეს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე. ბევრი მათგანი აშკარა მავნებლურ საქმიანობას ეწევა. ამის დასამტკიცებლად შორს არ მოგვიხდება წასვლა:

13 ოქტომბერს ახალციხის დამცურებელ მეურნეობაში შემოიარა ადგილობრივი სანაპირო რაზმის სამეურნეო ნაწილის მუშაკმა ამხ. თათეიშვილმა, რომელმაც მთხოვა წავყოლოდი მას საზამთრო ბინაში და მენახა თუ როგორ სამასალე ხე-ტყეს აძლევს მათ კურორტთა სამმართველო საშეშე მასალად. მართლაც აღმოჩნდა, რომ კურორტთა მთავარი სამმართველოს მიერ სანაპირო რაზმისთვის მიცემული ხე-ტყის 40 პროც. შეადგენს საუკეთესო საშენ მასალას, შეშის ნაცვლად საშენი მასალა მიუციათ ახალციხეში მდგომი № ლეგიონისთვისაც, ის მაშინ, როდესაც სახკომსაბჭოს განრიგით სხვადასხვა კლიენტებს ადიგენის სატყეო მეურნეობისაგან უნდა მიეღოთ სამასალე ხე-ტყე, მათ იგი არ მიუღიათ. ხოლო № ლეგიონი და სანაპირო რაზმი კლიენტებისთვის მისაცემ სამასალე ხე-ტყეს საშეშედ ღებულობს. რამ გამოიწვია ყოველივე ეს?

იმან, რომ, როგორც ეს სამართლიანად იყო აღნიშნული 26 აგვისტოს „კომუნისტში", საკურორტო სამმართველომ ადიგენის მეურნეობაში ხე-ტყის ჯოლგად დაცურება მიანდო უცოდინარ მუშაკებს — კერესელიძეს და ბალასანოვს, რომლებმაც ხე-ტყის დაცურება ფაქტიურად ჩაშალეს, ამის გამო კურორტთა მთავარი სამმართველოს „ჭკუის კოლოფებმა" არჩიეს წითელი ჯარის ნაწილებისათვის მიეცათ 5 ათასი კუბ. მეტრი შეშის ანგარიშში 12 არშინიანი ხე-ტყის საშენი მასალა.

ამას ზედ ერთვის გარემოება; ადიგენის სატყეო მეურნეობა კლიენტებს სამასალო ხე-ტყის საფასურს კუბ. მეტრში 94 მან. და 17 კაპ. ახდევინებს, ხოლო ჯარის ნაწილებს აძლევს შეშის ფასად — 11 მან. და 40 კაპ.

ნათელი სურათია: კურორტთა მთავარ სამმართველოსათვის თურმე არაფერს წარმოადგენს სამასალე ხე-ტყის შეშად გამოყენებით გამოწვეული ზარალი, რომელიც თითოეულ კუბ. მეტრზე 82 მან. და 77 კაპ. უდრის. სულ პირველი დაცურებიდან მოყოლებული, ზარალი 37,500 მანეთს აღემატება.

ამ „გზით" სურთ ადიგენელებს რენტაბელობის მიღწევა?

მეორე დაცურება 20 სექტემბრამდე უნდა დამთავრებულიყო; ეს ვერ შესრულდა. საკურორტო სამმართველოს სატყეო განყოფილების გამგე ამხ. რომან ერისთავი ახლა გვპირდება — ეს სამუშაო 5-6 ნოემბრისათვის იქნება დამთავრებულიო, ნამდვილად კი ამ საქმეს ჩაშლა მოელის. უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდება მესამე დაცურება.

მესამე დაცურება, რომელსაც უნდა მოეყვეს შეშა; „მოდის" მდინარე ქობლიან — ჩაით. წელს ამ მასალების ჩამოცურებაზე ოცნებაც კი ზედმეტია, მაგრამ ეს მასალები თუ როდისმე ჩამოვიდა, იგი დაჯდება ხუთჯერ მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ასეთ პირობებში, როდესაც დაცურება ფაქტიურად ჩაშლილია, საკურორტო სამმართველო და სატყეო განყოფილების ხელმძღვანელები საქმეს გულდამშვიდებით უყურებენ და ყოველდღიურად ახალახალ ყალბ ცნობებს აცხობენ. მაგალითად, 20 აგვისტოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მოწვეულ თათბირზე, საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელს ამხ. ერისთავს, რომ შეეკითხნენ — რა მდგომარეობაშია დაცურებაო, მან უპასუხა: დაცურება ჩაშლილი არ არის, მეორე დაცურება მოვა 20 სექტემბერს, მესამე კი 20 ოქტომბერსო. ამხ. ერისთავი 20 სექტემბერს საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-თან არსებულ პარტსაბჭოთა კონტროლის კომისიას უცხადებდა, რომ იგი დაცურებას დროზე შეასრულებს, და ამისათვის მიღებული აქვს ყველა საჭირო ზომა.

ყველაფერი ეს ტყუილი გამოდგა.

ერისთავის მოქმედება კიდევ უფრო შორს მიდის. მან 13 ოქტომბერს დეპეშით აცნობა გორის სახერხ ქარხანას, რომ ხე-ტყე ჩამოცურებულია და ადიგენის სატყეო მეურნეობას მასალების ღირებულება სასწრაფოდ გადაურიცხეთო. 18 ოქტომბერს, ერისთავის დეპეშით ხელში, ხე-ტყის მისაღებად ახალციხეში ჩამოვიდნენ გორის ქარხნიდან ამხ. ქილიტაური და მურადოვი, მაგრამ ერისთავის დეპეშა სრული სიცრუე აღმოჩნდა. ამით ერისთავს უნდოდა გორის ქარხნისთვის ფული დაეტყუებინა. ხე-ტყე დღესაც არ არის ჩამოცურებული და ახალციხის დამცურებელ მეურნეობას ოქტომბერში არაფერი დაუცურებია ხე-ტყის მასალების უქონლობის გამო.

ყოველივე ამის შემდეგ საკურორტო სამმართველოს სატყეო განყოფილების ხელმძღვანელები გვარწმუნებენ, რომ ისინი დაცურებას დროზე შეასრულებენ. რა დამპალი, ლიბერალური, ოპორტუნისტული განცხადებაა!

ასე სტყუიან კურორტთა მთავარ სამმართველოში. მათი მოქმედება მავნებლობამდე მიდის. შეშის დაცურების ჩაშლის გამო შეშის მაგიერ საუკეთესო ხარისხის საშენი მასალების გაცემა სახელმწიფოებრივი დანაშაულია, ამაზე კიდევ უფრო შორს მიდის ხელმძღვანელ ორგანოთა მოტყუება, თვალის ახვევა.

ასეთი ხალხის მიმართ მკაცრი ზომები, უნდა იქნას მიღებული, უნდა ელოკვეთოს დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა და ვიხმაროთ ყველა ღონე იმისათვის, რათა დაცურების გეგმა მთლიანად იქნას შესრულებული.

ხანდრო ქაჯაია.

რედაქციისაგან: აღვნიშნავთ რა წერილში მოყვანილ ხე-ტყის მასალის განიავებისა და დაცურების ჩაშლის აღმაშფოთებელ ფაქტებს, მოველით ამ საქმეში საქ. კ.პ. (ბ) ადიგენის რაიკომის, რაიაღმასკომის და პროკურორის დაუყოვნებლივ ჩარევას და ცნობას მიღებული ზომების შესახებ.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკა

□ □ □ □ □ □ □ □ □

გალ. ცინცაძე

სალიბაურის ჩაის ფაბრიკის დირექტორი

როგორ გავიმარჯვეთ

სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ მიმდინარე წელს მეტად თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა საწარმოო დავალებათა რიცხობრივად და ხარისხობრივად შესრულებაში.

ფაბრიკამ ჯერ კიდევ 20 სექტემბერს შეასრულა მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. ხოლო 1 ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებულ 643 ტონის ნაცვლად დამზადებული ჰქონდა 676,9 ტონა. რაც 73,4 პროცენტით აღემატება შარშან მთელი წლის განმავლობაში ფაქტიურად დამზადებულ ფოთლის რაოდენობას. მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, დამზადებული ფოთლის 90,9 პროცენტი პირველი ხარისხისაა (შარშან იყო 88,4 პროც.), უხეში ფოთლის რაოდენობა კი, გასული წლის 3.2 პროცენტიდან დაყვანილი იქნა 1,8 პროცენტამდე.

ჩვენ თავიდანვე ავიღეთ იმის მტკიცე კურსი, რომ ფაბრიკის მიერ დამზადებული ფოთოლი წესიერად გულდასმით გადაგვემუშავებინა, სეზონის დაწყებამდე ფაბრიკაში შევქმენით ყოველგვარი პირობა ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად ჩატარებისათვის, რომ ამით უზრუნველგვეყო მზაპროდუქციის ხარისხის აწევა. მიუხედავად მთელი რიგი დაბრკოლებებისა (ნახაზების, საშენი მასალის დაგვიანებით გამოგზავნა, ლიმიტების დროზე დაუმტკიცებლობა) ჩვენ, დანიშნულ დროზე სრულ წესრიგში მოვიყვანეთ ფაბრიკის ყველა საამქრო. გავაფართოვეთ ისინი, დავდგით დამატებით ახალი მანქანები. მოვაწყეთ ხელოვნური ჭკნობის კამერები, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში თვით ამ კამერების გამომგონებელი ამხ. მარდალეიშვილი ხელმძღვანელობდა.

წელს ჩვენ პირველად მოვაწყეთ და შემოვიღეთ მთელი ტექნოლოგიური პროცესების პასპორტიზაცია. ამით საშუალება გვეძლეოდა გაგვეგო ჭკნობიდან დაწყებული მზაპროდუქციის შეფუთვამდე ჩაის ესა თუ ის პარტია სად და ვის მიერ ფუჭდებოდა. ამან საგრძნობლად გააძლიერა ცალკე საამქროებში მომუშავეთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

სწორედ ამ ღონისძიებებით უნდა აიხსნას ის წარმატებები, რომელიც მოვიპოვეთ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. 6 ოქტომბრამდე სალიბაურის ჩაის ფაბრიკას სულ 147.645 კილოგრამი პროდუქცია ჰქონდა ჩაბარებული სახელმწიფოსათვის. ამათგან 138.679 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი. უმაღლესი ხარისხის ჩაის რაოდენობა 3 პროცენტიდან, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, ავიყვანეთ 3,7 პროცენტამდე. პირველი ხარისხის 14 პროცენტიდან მივაღწიეთ 29,3 პროცენტს. მეორე ხარისხის მესამე კატეგორია შევამცირეთ 30 პროცენტიდან 15,1 პროცენტამდე. ამის ხარჯზე კი გავზარდეთ როგორც პირველი ხარისხის, ისე მეორე ხარისხის პირველი და მეორე კატეგორიის ჩაის პროდუქციის რაოდენობა. **მესამე ხარისხის ჩაი არ მიგვიღია არც ერთი კილოგრამი.** (გეგმაში გათვალისწინებული იყო 6 პროცენტი).

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გაშლას და კადრების აღზრდას. არც ერთი საამქრო და მუშა არ დაგვიტოვებია სოცშეჯიბრების გარეშე. შემოვიღეთ სანარდო სისტემა, გავზარდეთ მატერიალური დაინტერესება. სეზონის დაწყების წინ ფაბრიკას მიეცა დავალება 1934 წელთან შედარებით გაეზარდა შრომის ნაყოფიერება 8 პროცენტით. ფაქტიურად კი **შრომის ნაყოფიერება გავზარდეთ 25,8 პროცენტით.**

მუდმივმა მუშებმა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ კურსებთან ერთად როგორც მუდმივი, ისე სეზონური მუშები თვით საწარმოო პროცესში აგვეზარდა. ასეც მოვიქეცით. **დიდბერიძე, გოტიაშვილი და ივანიშვილი,** რომლებიც შარშან მოვიდნენ სალიბაურის ფაბრიკაში მახარაძის ჩაის ტექნიკუმიდან, საწარმოო პროცესში აღიზარდნენ და ახლა, ჩაის საუკეთესო ტექნოლოგები არიან. მუშა - ქალმა **მარუსია ანუშენკომ** ისე აამაღლა თავისი კვალიფიკაცია, რომ ჩვენ იგი გაბედულად დავაწინაურეთ საამქროს მოხელედ. მუშა პროკოფი ელენტი, რომელიც წინათ შავ მუშად, ხოლო შემდეგ საამქროს მოხელედ მუშაობდა, მორიგე დირექტორად წამოვაყენეთ და იგი ამ თანამდებობაზე საუკეთესოდაც მუშაობს. პასუხსაგებ სამუშაოებს განაგებენ ამჟამად აგრეთვე შავიშვილი, ღლონტი, ჩუბინიძე, რედლერი, გოფგაუფი, იბერლე და სხვები, რომლებიც მუშაობის პროცესში აღიზარდნენ.

კადრების აღზრდის ამ მეთოდით სალიბაურის ფაბრიკამ არა მარტო დააკმაყოფილა ადგილობრივი მოთხოვნილება კვალიფიციური მომუშავეებით, არამედ მის მიერ აღზრდილი კადრებიდან მიმდინარე წლის სეზონის დაწყების წინ მისცა ახლად მოწყობილ ჩაის ფაბრიკებს, 3 ტექნიკური დირექტორი, სამი მორიგე დირექტორი და საამქროს რამდენიმე მუშაკი.

ჩვენ მტკიცედ მოვკიდეთ ხელი ამხ. ლ. ბერიას იმ მითითების შესრულებასაც, რომელიც ჩაის ფაბრიკებთან დამხმარე მეურნეობების მოწყობას შეეხება. გამოვნახეთ სათანადო მიწის ნაკვეთი ლიმონისა და მანდარინის გასაშენებლად. ნაკვეთი გავწმინდეთ და ამოვიღეთ 1500 ორმო. გადაწყვეტილი გვქონდა წელსვე დაგვერგო ნერგები, მაგრამ „საქჩაიმ" საჭირო თანხა არ გაითვალისწინა ბიუჯეტში. მომავალ წელს ჩვენ გვექნება ლიმონისა და მანდარინის საკუთარი პლანტაციები.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ - ტექნიკოსთა კოლექტივი არ კმაყოფილდება ამ მიღწევებით. ჩვენ მალე დავიწყებთ **მზადებას 1936 წლის სეზონისათვის.** ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — **მომავალ წელს გადავამუშაოთ 1.000.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.** ეს მოითხოვს ფაბრიკის მთლიან რეკონსტრუქციას, ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა ძალთა ამოქმედებას და დარაზმვას პარტიისა და ხელისუფლების მორიგი დავალების ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

ამას ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ.

სონია ვამაძე

ფაბრიკა „მაერაბი" № 6-ის დირექტორი

პირველი ნაბიჯი

ამხანაგმა სტალინმა ლენინგრადის სტახანოველთა შეკრებაზე მკვეთრად განსაზღვრა სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა, მიზანი და ამოცანები. მან თქვა: „თვითეული სტახანოველის ოცნება ის არის, რომ თავისი გამოცდილება, თავისი ცოდნა და უნარი გადასცეს ამხანაგებს. სტახანოველი არის ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანი, პარტიის პირველი თანაშემწე".

ჩვენი ფაბრიკის სინამდვილეში თავიდანვე გავაჩაღეთ მუშაობა სტახანოვური მუშაობის მეთოდების დასანერგად და სტახანოველთა რიგების გასამრავლებლად. უპირველეს ყოვლისა გამოვავლინეთ დამკვრელები, რომლებიც გეგმების შესრულებით სტახანოვურ მაჩვენებლებს იძლეოდნენ. მაგრამ ეს ხომ არ იყო საკმარი. საჭირო იყო კიდევ ერთი პირობა—მუშაობის მეთოდების შესწავლა. ჩვენი ფაბრიკის სახელოვანმა ადამიანებმა, ფაბრიკის სამკუთხედის მიერ ჩატარებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მეოხებით, პრაქტიკულად იწყეს თავისი მუშაობის მეთოდის გაზიარება ამხანაგებისათვის.

მაგალითისათვის ავიღოთ ინდივიდუალური შეკვეთების საამქროს ბრიგადირი **ვლ. ხვიჩია.** საწარმოო დავალებებს იგი ყოველთვის 150—160 პროცენტით ასრულებს. ამას ხვიჩია იმით აღწევს, რომ მუყაითად ეკიდება მისთვის მინდობილ საქმეს. მუშაობის დაწყებამდე ყოველთვის 20—25 წუთით ადრე ცხადდება, წინასწარ იმზადებს მასალას, ალუფთავებს სამუშაო ხელსაწყოებს და სამუშაო ადგილს. მუშაობს სრულ 420 წუთს. ხვიჩიას ბრიგადაში არიან ზოგიერთი მუშები (სონია ბოკერია და სხვ.), რომლებიც გეგმებს 50—60 პროცენტით ასრულებდნენ. ასეთი მდგომარეობის გამო ბრიგადა გეგმის შესრულებაში სისტემატიურად ჩამორჩენილი იყო. მას შემდეგ, რაც ხვიჩიას მოწვევით დარიგება დაინერგა ამხანაგებში თავისი მუშაობის მეთოდები, მდგომარეობას მართლაც გამოცოცხლება დაეტყო. ამას ადასტურებს თუნდაც ოქტომბერში ბრიგადის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ხვიჩია თავის ბრიგადაში დადებითი მუშაობის გაზიარების მიზნით ატარებს 15-წუთიან თათბირებს და ბრიგადის მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებს იქვე ასწორებს.

აქვე მუშაობენ ბრიგადირები კარდაშინი, გ. ხარუზანოვი და კარაკეშოვი, რომლებიც საწარმოო დავალებებს ყოველთვის 150—160 პროცენტით ასრულებენ და რომლებსაც წუნის გამოშვების არც ერთი შემთხვევა არ ჰქონიათ. მაგრამ მათ ბრიგადებში საკმაოდ იყვნენ ისეთი მუშები (ა. კიკოევა, კულულაშვილი და სხვ.), რომლებიც ვერ ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს და, რაც მთავარია, უშვებდნენ წუნსაც. მაგრამ სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან დაწყებული სტახანოვური მუშაობის მეოხებით განმტკიცდა დისციპლინა, თვითეული მუშა დაინტერესდა უკეთ მუშაობით და სწორედ ამიტომ ოქტომბერში ამ ბრიგადებმა გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს.

აქვე დასახელების ღირსი არიან მუშა-ქალი **შურა კაზანჯიევა** (ყოველთვიურად დავალებებს 200 — 205 პროცენტით ასრულებს), **არუთინოვა, გრ. ხარუზანოვი** და სხვ.

რაც მთავარია, სტახანოვური მუშაობის მეთოდების დანერგვამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა თვითეული მუშის აქტიობა წარმოებაში, შეგვემჭიდროებინა სამუშაო დროის ყოველი წუთი, გაგვეძლიერებინა ბრძოლა მუშაობის ხანგრძლივი შეწყვეტის, ზედმეტი აჩქარებისა და იერიშობანის აღმოსაფხვრელად.

დღეს ბრიგადირი ძველებურად აღარ გრძნობს საამქროში თავს. მუშაობის ყოველი შეფერხებისას ისინი მიდიან ხელმძღვანელებთან და მოითხოვენ კონკრეტულ დახმარებას. ვატარებთ შესაძლებელ ღონისძიებებს, რათა ნედლეულისა და სათადარიგო ნაწილების მიზეზით მოვსპოთ შეფერხებები.

ჩვენი მოვალეობა ამ დარგში ამით არ ამოიწურება. ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა, რომელიც გაშლილია ჩვენს წინაშე.

□ □ □

ებრაელ კოლმეურნეთა საექიმო მომსახურება

ყველამ იცის, თუ რა დევნას და ტანჯვა-წამებას განიცდიდნენ მშრომელი ებრაელები თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ხანია საბოლოოდ გადაჭრა ნაციონალური საკითხი. საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული ზომების შედეგად დღეს საქართველოში გვაქვს ებრაელთა 14 მსხვილი კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანებულია 618 კომლი 3,031 აქტიური წევრით.

საქართველოს ჯანსახკომმა საზ „ემმს"-თან ერთად დიდ ყურადღება მიაქცია მშრომელ ებრაელთა ჯანმრთელობის დაცვას. კოლმეურნეობებში გაიხსნა საექიმო პუნქტები, რომლებიც უფასო საექიმო მომსახურებას უწევენ მშრომელ ებრაელებს. ზოგი კოლმეურნეობა (წითელგორისა, ტირიფონისა, სუჯუნისა) მოწყობილია მალარიან რაიონებში. ამიტომ ჯანსახკომმა მიიღო სათანადო ზომები. ამ კოლმეურნეობათა შესწავლისთვის. ჩატარებულ იქნა ქინიზაცია და ჭაობების დამაზუთიანება.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციფიკური და უფასო მკურნალობისათვის ებრაელ კოლმეურნეებს დათმობილი აქვთ მთელი რიგი ადგილები ტფილისის ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტებში. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ჯანსახკომის მიერ ებრაელ კოლმეურნეთა ბავშვების აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვას. მათთვის იხსნება საბავშვო ბაღები მუხრანში, ტირიფონაში და სხვაგან. ისინი მოწყობილი არიან სათანადო ინვენტარით და დგამით. მაგრამ მიღწევებთან ერთად ჯერჯერობით გვაქვს ნაკლიც, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ.

სახელდობრ, ზოგიერთმა ჯანგანყოფილებამ (ცხაკაია, ლაგოდეხი, აბაშა, სამტრედია და სხვ.), მიუხედავად ჯანსახკომის მითითებისა, ჯერ კიდევ ვერ გაიგო, თუ როგორი დახმარება უნდა გაუწიოს ებრაელ კოლმეურნეებს ლაგოდეხის რაიონმა.

მუშაობა შედარებით კარგად აქვს დაყენებული გორის რაიონს, რომელმაც გაიგო ჯანსახკომის განმარტებები და მითითებები.

ნ. კერკენჯია.

□ □ □

ვალ. მგალობლიშვილი

მარკიზ კიუსტინის პამფლეტი*)

როდესაც ნიკოლოზ პირველმა წაიკითხა „უმადური მოგზაურის" ეს წიგნი, განრისხებულმა შესძახა: „ჩემი ბრალია, რისთვის ვლაპარაკობდი ამ არამზადასთან!" რუსეთის თვითმპყრობელმა მონარქმა ფრანგი მოგზაურის და ლიტერატორის ამ შესანიშნავ პამფლეტში, როგორც ქრიალა სარკეში დაინახა თავისი მახინჯი სახე და მაშინდელი რუსეთის მაღალი წოდების ნამდვილი დაცემა და გათახსირება.

და თვითმპყრობელმა არავითარი საშუალება არ დაზოგა, რომ არა თუ აეკრძალა კიუსტინის წიგნი—„რუსეთი 1839 წ.", არამედ მოესპო წიგნის და მისი ავტორის ხსენებაც კი. საბედნიეროდ, მან ვერ შესძლო მეფის რუსეთის ამ საბრალმდებლო აქტის განადგურება. მიუხედავად ბენკენდორფის და მისი საზღვარგარეთელი აგენტების (გრეჩი, დიუ., ი. ტოლსტოი და სხვ.) ცდებისა, რომლებიც სპეციალურად გამოვიდნენ ამ წიგნის წინააღმდეგ, კიუსტინის პამფლეტმა მოიხვეჭა საზღვარგარეთის პოლიტიკური წრეების ყურადღება, განსაკუთრებით რუსული ემიგრაციის ყურადღება და არალეგალურად გაიკაფა გზა რუსეთში, სადაც იგი მკვლევრის ცნობით თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვებოდა.

კიუსტინი, ბურბონთა დინასტიის ერთგულ აზნაურთა ეს შთამომავალი, რომლის წინაპრებმა პარიზის რევოლუციურ გილიოტინაზე დაამთავრეს სიცოცხლე, ეს უკიდურესი კლერიკალი, კონსერვატორი და რეაქციონერი რუსეთს ესტუმრა 1839 წ. მისი განზრახვა სრულებით არ ყოფილა ნიკოლოზის რუსეთის გინება. პირიქით, იგი რუსეთში მოდიოდა იმ მიზნით, რომ იქ ეპოვნა ახალი არგუმენტები მონარქიის სასარგებლოდ და კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ, როგორ იმედგაცრუებული აღმოჩნდა იგი, როცა ნამდვილ რუსეთს გაეცნო! რეაქციონერს მასში სძლია კალმის ობიექტურმა ოსტატმა, რომელიც იძულებული გახდა, წინააღმდეგ თავისი სურვილისა, დაეხატა ნიკოლოზ პირველის სასახლის და მაშინდელი რუსეთის საშინელებანი. და ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მისი წიგნის მნიშვნელობას.

რა ნახა კიუსტინმა რუსეთში? ცბიერი ფრანგის ირონიულ თვალთა ისარს არ გამოეპარა უმთავრესი, რითაც ხასიათდებოდა ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი—გარეგნული ბრწყინვალება, ფასადები, რომლის იქით იმალებოდა სახელმწიფოებრივი კრეტინიზმი, ადამიანთა მილიონების ნამდვილი მონობა და აბსოლუტური სიცარიელე ცხოვრების თითქმის ყველა დარგში.

იმისგან, რაც კიუსტინმა ნახა და, რაზედაც იგი მოგვითხრობს ჩვენთვის ყველაზე საინტერესო არის ნიკოლოზის და მისი სასახლის აღწერა. იგი ავსებს ჩვენს წარმოდგენას ნამდვილ რუსეთზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ხალხთა დიდ ციხეს, ევროპის, ციმბირს, „გაფერადებულ ჭაობს და შელესილ საფლავს", როგორც გესლიანად შენიშნავს ფრანგი მოგზაური.

ნიკოლოზ პირველში, გამოთაყვანებულ მედიდურობის ამ განსახიერებაში, რომელსაც რომანოვების დინასტიის მორიგი წინამძღოლობა წილად ხვდა, პირველი შეხვედრისთანავე კიუსტინმა ამოიცნო ადამიანი, რომელიც „შიშს ჰგვრის და მუდამ შიშს განიცდის". რუსეთის ეს დესპოტი, რომელიც წელს ზევით კორსეტ შეხორტყმული კოკეტკასავით დადიოდა, თვითეულ შემთხვევით მოვლენაში აჯანყების ჩრდილს ხედავდა. აი ეს ადამიანი, რომელსაც ანგარება კანონად მიაჩნდა და ციმბირის [illegible] საფლავი ადამიანთა ნამდვილ სავანედ, განაგებდა სამოცმილიონიანი ხალხის ბედს. სასახლის მოხელეების მრავალფეროვნება მის ხელში წარმოადგენდა იარაღს საკუთარი მოწყენილობის გასაქარვებლად, ხოლო გლეხთა აჯანყებები მორიგ ჯალათურ გასართობს. იგი მოუსვენრად გრძნობდა თავს დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ და ამ რევოლუციონერთა აჩრდილი მუდამ თანსდევდა მასაც და დედოფალსაც.

ამ ცოცხალმა მძორმა, კიუსტინის რუსეთში მისვლისას, მორიგ გასართობზე პეტერგოფში, კიდევ უფრო თვალნათლივ აჩვენა თავისი ნამდვილი სახე და სასახლე. ეს უკანასკნელი კიუსტინს მოაგონებს თეატრს, სადაც მსახიობთაგან თავისი როლი კარგად არავინ არასოდეს არ იცის და წარმოდგენაც არასოდეს აღარ იმართება. მსახიობები—კარისკაცები და დირექტორიც—მეფე, მუდამ ამზადებენ, ასწორებენ და ავსებენ ერთსა და იმავე კომედიას — „ჩრდილოეთის ცივილიზაციას", რომელიც არასოდეს არ იდგმება.

ნიკოლოზს სურს პეტერგოფის სასახლეებით და ფეერიული სილამაზით მოხიბლოს ფრანგი მოგზაური, მაგრამ ამ მოჩვენებითი სამშვენიერის იქით კიუსტინის გამჭრიახი თვალი ამჩნევს სიმახინჯეს, სისასტიკეს, ტირანიას და დესპოტიზმს, რომელიც გამეფებულია სასახლეშიც და მის გარეთაც.

კიუსტინს აკვირვებს ეგოიზმი და სისწრაფე, რომლითაც ნიკოლოზ პირველმა აღადგინა ხანძარით განადგურებული ზამთრის სასახლე. ამას ერთი წლის არაადამიანური შრომა, უკეთ—ტანჯვა დასჭირდა. 6.000 „უსახელოდ წამებული" ყმა [illegible] სასტიკ [illegible] მუშაობდა. მათგან ყოველდღიურად რამდენიმე წუთისოფელს ესალმებოდა, „მაგრამ ამ უბედურთა ნაცვლად მაშინვე ახლებს მიერეკებოდნენ, ისინიც აგრეთვე მალე უნდა დაღუპულიყვნენ და ამ ურიცხვ მსხვერპლთა ერთად-ერთი მიზანი იყო მეფის წადილის აღსრულება". ამ საცოდავ ადამიანებს „კვდებოდნენ სასახლის დარბაზებში, სადაც ტემპერატურა ძლიერი გახურების გამო კედლების გაშრობის დასაჩქარებლად 30 გრადუს სიცხეს აღწევდა. იმ უბედურთ, [illegible] ყველაზე გახურებულ დარბაზებში მუშაობდნენ, თავზე ქუდი უნდა დაეხურათ, რათა ეს საშინელი სიცხე აეტანათ და არ დაეკარგათ მუშაობის გაგრძელების უნარი". ამ მშენებლობამ შეიწირა არა მარტო ახუნულ ადამიანთა სიცოცხლე, არამედ მილიონებით თანხებიც, რაც მეფემ შემდეგ ზურგზე აჰკიდა მშრომელ გლეხობას.

და ეს მშვენიერი სასახლე ნიკოლოზმა აღადგინა იმისათვის, რომ მეფურ [illegible] და [illegible] ერთად იქ თბილი სასუფეველი ეპოვნათ... ბალლინჯოებს. დიახ, ბალლინჯოებს, რადგან ეს პაწია ცხოველები სხვა მწერნარებთან ერთად მუდამ შეადგენდნენ რუსეთის მაღალი წოდების და განსაკუთრებით რომანოვების დინასტიის „დამამშვენებელ" ატრიბუტს.

კიუსტინი მოგვითხრობს საშინელ წამებაზე, მას რომ მიაყენეს ბალლინჯოებმა პეტერბურგის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში, რომელიც „გარეგნულად სასახლეს წააგავდა, ხოლო შიგნით მორთული და ხავერდ აბრეშუმით მოკაზმული საჯინიბო გამოდგა".

მაგრამ სასტუმრო მეფის სასახლესთან შედარებით მონაგონიც არ აღმოჩნდა. მრავალი ადამიანის სიცოცხლით აღდგენილი ზამთრის სასახლის დარბაზები, როცა იგი კიუსტინმა დაათვალიერა, უკვე ავსებული იყო ბალლინჯოებით და სხვა მწერნარებით.

ამ ისტორიული ფაქტის საბუთებს მშვენივრად ინახავენ ახლაც პეტერგოფის სასახლე-მუზეუმები, სადაც საბჭოთა ექსკურსანტები ცნობის მოყვარეობით და გაკვირვებით ათვალიერებენ სპეციალურ ხელსაწყოს, რომლითაც მეფის ოჯახის წევრები საკუთარ სხეულზე იჭერდნენ და ხოცავდნენ „მწერნარებს". დიახ აქ გასაკვირი არაფერია. მწერნარებში მოინათლა და ცხოვრობდა რომანოვების „განათლებული" დინასტია.

კიუსტინი ერთგვარ განცვიფრებაში მოჰყავს იმ იდიოტურ ცხოვრებას და მონურ, უაზრო მორჩილებას, რომელიც გაბატონებული იყო მეფის კარზე და მთელ სახელმწიფოებრივ მანქანაში. მეფის კარისკაცები მას მოაგონებს მაღალ წოდებიდან გამოსულ მონებს, რომლებიც დიდიდან პატარამდე, როგორც სახელმწიფო მანქანის ნაწილები, ყოველგვარი აზრისა და გრძნობის გარეშე ასრულებენ უფროსების ბრძანებებს. საერთოდ აქ აზრი მკვდარია, რადგან მთელი რუსეთი, როგორც კიუსტინი შენიშნავს, გადაქცეული იყო მუნჯების 60 მილიონიან ლეგიონად, სამხედრო სასწავლებლად, რომელსაც მოწაფეები სიკვდილამდე ვერ ამთავრებდნენ. კიდეც ამიტომ მოუღო ბოლო ნიკოლოზის ინტრიგებმა აზრის და გრძნობის შემოქმედს—პუშკინს, კიდეც ამიტომ გაუყენა მან ახალგაზრდა ლერმონტოვი შორეული კავკასიის გზას.

ამ ერთფეროვან ლეგიონს, თიხისფეხებიანი კოლოსის მეთაურობით მართავენ „დესპოტები, ეს ჯუჯა-მტარვალები", რომლებიც დაუნდობლად ჩაგრავენ ქვეყანას. ამ სახელმწიფოს ძლიერება, რომლის მმართველობის ფორმა აერთიანებს დემოკრატიას და დესპოტიზმის ყველა ნაკლს, ეყრდნობა არმიას, კარგად გაწვრთნილს პარადებისათვის, არმიას ამ ჯარისკაცთაგან შემდგარს, რომლებიც [illegible] არიან ჩაცმული გარეთ და [illegible] ყაზარმაში, ჯარისკაცთაგან, რომელთაც ინტენდანტები სძარცვავენ და შიმშილით სული ხდებათ.

მაგრამ რამდენად მახვილია კიუსტინის თვალი სასახლის წრეებში, იმდენად ბლაგვია იგი მოსახლეობის ფართო ფენების გაცნობისას. ბევრ სიმართლესთან ერთად, რასაც კიუსტინი გვეუბნება რუსეთის მაშინდელ ხალხზე ამ უკანასკნელს, იგი შეცდომით მიაწერს ბევრ ცუდ თვისებას—და ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან როგორც პოკროვსკი შენიშნავდა, „ძნელი იყო ნამდვილი ხალხის შესწავლა კომფორტაბელური ეტლის ფანჯრებიდან, რომლითაც ფრანგმა მარკიზმა რუსეთი შემოიარა—და უფრო ძნელი იყო მასთან დაახლოვება მისი ენის უცოდინარობის გამო. ამიტომაც კიუსტინი სწორად გადმოსცემს იმ ბარბაროსულს, რასაც იგი რუსეთის ხალხში ხედავს, მაგრამ ვერ აფასებს მის შინაგან თვისებებს, მის ბუნებას.

„მოსახლეობას შორის, რომელიც მოკლებულია სიხარულს და საკუთარ ნებისყოფას—წერს იგი,—ხედავთ მხოლოდ უსულო სხეულებს. ძალაუნებურად თრთი იმის გახსენებაზე, რომ ამ მრავალრიცხოვან ხელებს და ფეხებს მხოლოდ ერთი თავი აქვს". რასაკვირველია, კიუსტინმა ვერ შეამჩნია, რომ ამ განაწამებ მილიონების სიცოცხლით ცოცხლობდა და მათი ტანჯვით იტანჯებოდა რუსეთის განათლებულ ადამიანთა მთელი რევოლუციური თაობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები რომანოვებმა ციხეებში დაალპეს და ციმბირის [illegible] დამარხეს.

მთელ რუსეთში, იქ სადაც გლეხური მოსახლეობაა, კიუსტინი ხედავს შიმშილს, სილატაკეს და სიბნელეს. თვით პეტერბურგიც, რომლის გამშვენიერებამ ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, „გარშემორტყმულია უფორმო და უბრალო ქოხმახებით და მივარდნილი უდაბურ ადგილებით, სადაც სუფევს საშინელი სიბინძურე". ცხადია, თუ რა იქნებოდა საერთოდ რუსეთი და მისი სხვა ცენტრები, როცა პეტერბურგი ასე „ბრწყინავდა" ჭუჭყით, სილატაკით და ბალლინჯოებით!

უფრო მუქი საღებავებით ხატავს პამფლეტისტი რუსეთის გლეხობას. კიუსტინის ყურამდეც კი აღწევს ათასგვარი მართალი ხმები მემამულეთა თვითნებობით განაწამებ გლეხობის აჯანყებებსა და არეულობებზე.

ეს ფრანგი მემამულე, რომლის წინაპრები გლეხებს ბაყაყების ხმაურის დასაწყნარებლად იყენებდნენ, რუსეთში აღშფოთებულია ნახულ-გაგონილით.

იგი მიხვდა, რომ ყოველი რუსი მემამულის კეთილდღეობა იმ გლეხთა რაოდენობით განიზომება, რომელიც მას ეკუთვნის. „მე მუდამ ძალაუნებურად ვანგარიშობ—წერს იგი—რამდენი ოჯახია საჭირო, რომ გადაიხადონ რომელიმე მშვენიერი ქუდის ან შალის ფასი. როდესაც ამ თუ იმ სახლში შევდივარ, ვარდების და ჰორტენზიების ბუჩქები თითქოს სხვანაირად მეჩვენებიან, ვიდრე სხვა ადგილებში. მგონია ისინი სისხლით არიან შელებილნი მეთქი. ყველგან მედლის უკუღმა მხარეს ვხედავ. მე უფრო მაინტერესებს ადამიანთა სულების რაოდენობა, რომელნიც განწირულნი არიან სიკვდილამდე იტანჯონ მხოლოდ იმისათვის, რომ გადაიხადონ რომელიმე წარჩინებული ქალბატონისათვის საჭირო მატერიის ფასი".

საიმპერიო ეტლის ფანჯრებიდანაც კი, კიუსტინი ახერხებს თვალი მოატანოს ნამდვილ ცხოვრებას და ადამიანებს. ყველგან სიღატაკეს და სიღარიბეს, უსუფთაო სოფლებს, გლეხების ჭუჭყიან ქოხებს ხედავს. უფრო მეტიც—„შორეულ გუბერნიებში ბევრი გლეხის ოჯახია დაშვეული, ბევრიც იხოცება სილატაკისა და ცუდი მოპყრობისაგან, რუსეთში ყველანი იტანჯებიან, მაგრამ ყველაზე დიდ ტანჯვას განიცდის ის ხალხი, რომლითაც ასე ვაჭრობენ, როგორც ნივთით".

ამ „ღირსშესანიშნაობიდან", რაც ნიკოლოზის რუსეთს „ამშვენებდა", მოგზაურის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ციხეები. თვით რუსეთი ხომ დიდ ციხეს წარმოადგენდა, ვეებერთელა ციხეს, რომლის საზღვრების გადალახვაც ძნელი იყო. ამ ციხის კედლებს მუდამ ჩამოსდიოდათ ადამიანთა მთელი მოდგმის სისხლი; ისინი იყვნენ არნახული და გაუგონარი ტანჯვა-წამების უტყვი მოწმე; ციხეები იყო არა მარტო გლეხობის და საერთოდ ხალხის რჩეულ წარმომადგენელთა სამარე; იქ იმარხებოდნენ დინასტიური ინტრიგების მორიგი მსხვერპლნიც კი, იმპერიის თვით უმაღლესი მნათობნი.

აი მოსკოვის ციხე, რომლის საშინელებათა მოწმე ფრანგი მოგზაურის ერთი თანამემამულე გახდა. ერთადერთი ხმა, რომელიც მას ციხეში ესმოდა როზგების ხმა იყო. „დილის ხუთი საათიდან საღამომდე ამ როზგებს სცემდნენ ყმებს, რომელთაც მათი ბატონები ციხეში გზავნიდნენ სასჯელის მოსახდელად". —მთელი რუსეთი წარმოადგენდა ამგვარი ციხეების იმპერიას, სადაც თითქმის ყოველი სასახლის (და სახლის) გვერდით ციხე იყო. ციხე იყო თვით „პეტრე დიდის სასახლესთან".

პეტერბურგის ციხეში კიუსტინმა მოახერხა, როგორც ჯოჯოხეთური კაზემატების, ისე მეფის საგვარეულო საფლავის ნახვა. და ფრანგი გენერლის შვილიშვილი შეაძრწუნა ამ ნანახმა. „კაცი ძალაუნებურად თრთის, როდესაც ფიქრობს ამ რუსებზე, რომლებიც ამ ქვეყნებში ილუპებიან"—ჩაწერა მან თავის დღიურში. სამუდამოდ ცოცხლად დამარხვა და სიკვდილი—აი რა მოელოდა ყველას, ვინც ამ ციხეებში მოხვდებოდა.

და ეს იყო საერთოდ ყველას ბედი, ამ დიდი ციხის და დაუცხრომელი უდაბნოს —ძველი რუსეთის თითქმის ყველა მცხოვრების ბედი, რადგან იქ ადამიანები ისე იბადებოდნენ და კვდებოდნენ, რომ სიცოცხლეში ერთხელაც ვერ გრძნობდნენ თავისუფლების და ადამიანობის ნატამალსაც კი.

შორს, შორს ამ წყეული კუთხიდან! —წამოიძახებს დიდი ხნის მძიმე და კოშმარული შთაბეჭდილებებით დატვირთული კიუსტინი და ესწრაფვის ჩქარა დატოვოს ამ ქვეყნის საზღვრები.

და უკვე თავის სამშობლოში იგი სწერს ამ პამფლეტის უკანასკნელ სტრიქონებს. იგი ურჩევს თავის მეგობრებს: თუ მათი შვილები დაიწყებენ საფრანგეთის გაკიცხვას, დაე ისინი წავიდნენ რუსეთში. „ყველა, ვინც ახლოს გაიცნობს მეფის რუსეთს, მხიარული იქნება, რომ ცხოვრობს სხვა მხარეში"—აი ერთადერთი ჭეშმარიტი დასკვნა ფრანგი კონსერვატორისა, რომელიც მეფის რუსეთში ეძებდა მონარქიის დაცვის მასალას და იქ მისი საბრალმდებლო დასკვნა შეადგინა.

ასი წლის განმავლობაში ეს წიგნი ცოცხლობს, როგორც საუკეთესო პამფლეტი მეფის რუსეთზე, როგორც საზოგადოებრივი ბრალდება მთელი იმ უაზრობის, კაზუისტიკის, ხალხთა მოკლეტისა და მსოფლიო ციხის წინააღმდეგ, რასაც მეფის რუსეთი ეწოდებოდა.

ამ წიგნში ბევრ საინტერესოს ამოიკითხავს და გაიგებს ჩვენი საბჭოთა მკითხველი.

◆

---

*) მარკიზ ასტოლფ კიუსტინის მემუარები — „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი", ქართული გამოცემა.

□ □ □

პატარა ფელეტონი

ტკბილი ჰანგები და ჟერსეს კაბები

განა საჭიროა მუსიკის მომხიბვლელ ძალაზე ლაპარაკი? ეს ხომ უცილობელი ამბავია. მუსიკა საზეიმო ფიქრებს აღძრავს, სულის ფარულ ხვეულებში ტკბილ ღიტინად ნავარდობს, სევდა-კაეშანს სალმობად ევლინება. ამ სათილისმო ძალას მარტო ადამიანზე კი არ იჩენს, არამედ მთელ ფლორასა და ფაუნას ჰფენს ზღაპრების ყაისნაღით მოწნულ ბადეში, უსულო საგნებსაც კი იმორჩილებს. ამის დამამტკიცებელია უხსოვარი დროის მემუსიკე ორფეოსი, ვისი ჩანგის ჟღერას ბუნაგიდან გამოჰყავდა ნადირები, ვის საზღაპრო სიმთა რხევა ადგილიდან სძრავდა პირდაპირეულ კლდეებს და ასწლოვან ხეებს. შორს წასვლა რათ გვინდა, აი თუნდაც ჩვენი კარგი ნაცნობი ავთანდილი, რომლის „ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიც გამოსხდიან".

და ამის შემდეგ რა უნდა ვთქვათ იმ ამბავზე, რომელიც დატრიალდა ამ ზაფხულს, 7 აგვისტოს, ხაშურის [illegible] კლუბში, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის კონცერტზე?

კოტე ფოცხვერაშვილი თავის მეჩონგურე ქალთა ანსამბლით მიიწვია ზემოთაღნიშნულმა კლუბმა: შენი კარგი ჩონგურით ჩვენი სმენაც დაატკბე, იმღერე და გვამღერე, გვამე და იამე. მოწვევის ბარათი რომ მიიღო კოტე ფოცხვერაშვილმა, უმალვე წასვლა გადაწყვიტა: მოკლას ხარი თივამაო; „კოტევ, გიყვარდა ჩონგური, დაუკარ და იღიღინეო"; საბჭოთა ხელისუფლების დროს 1500 კონცერტი გამიმართავს, ესეც ზედ იყოსო. შეუდგა სამზადისს. თავი მოუყარა მეჩონგურე ქალებს და გასწია ხაშურისაკენ, [illegible] თავისუფლად შეეძლო ლოტბარობა ტფილისიდანაც გაეწია (ტანაჯდობის საქმეში).

ხაშურელი კლუბმუშაკები თავაზიანად და გულმხურვალედ შეხვდნენ ანსამბლს. დანიშნულ დროზე მათგან კლუბში არავინ გამოცხადებულა—არც ამ საქმის თაოსანი და კლუბის გამგე ამხ. [illegible], არც კლუბის რეჟისორი ამხ. მაღალაშვილი. მაგრამ ეს ეპატიებათ, ვინაიდან ზაფხულის ცხრათვალა მზე ისე სთენთავს ადამიანს, რომ ნასადილევს თუ კარგად არ გამოიძინე [illegible], არ ივარგებს.

როგორც იყო, კონცერტი დაიწყო. ფარდა აიხადა. საამური ხმები მიმოიფანტა არც ისე გაჭედილ, მაგრამ არც იმდენად ცარიელ დარბაზში. სცენიდან ანკარა წყაროსავით მოჩქრიალებს საუცხოოდ შეწყობილი ხმები და [illegible]. ანსამბლი ჩონგურზე [illegible] ლოტბარობს ფოცხვერაშვილი, რადგანაც მას „ჩონგური მისთვის უნდა, რომ [illegible] მახარობლის, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს იმედით ახარებდეს".

ცოტა ხანს თავი დავანებოთ სცენას და [illegible] თვალით შევიხედოთ კულისებში, სადაც მეჩონგურე ქალთა სამგზავრო ჩემოდნები აწყვია, ხოლო შიგ ალაგია პასპორტები, სხვადასხვა საბუთი, ფილდეკოსის წინდები, [illegible] კაბები, ჟერსეს ზედატანები, „შოტლანდიური" და სხვა ტრიკოტაჟი. ისე არ გვეკადნიერებოდით და ამ ჩემოდნებში არ ჩაგვეხედებოდით, მკითხველო, რომ ისინი შერჩეული გასაღებით არ გაეღოთ საპირფარეშოს ფანჯრიდან შემძვრალ სუბიექტებს და არ ამოეწოთ ლამაზად დაუთოებული და სათუთად დაკეცილი ტანისამოსი. ეს სუბიექტები დამუხლისთავებულან ჩემოდნებთან და ტომარაში ჰყრიან, რაც კი თვალს ელამუნება.

ამ დროს ანსამბლი მღერის: „დაუკარ, ჩემო ჩონგურო, დაუკარ ნელა-ნელაო".

სუბიექტები ტომრებს სტენენ და ბანს აძლევენ: „ვოდელა, დელა, დელაო".

ანსამბლი მღერის: „კარგ დროს მოვესწარით მე და შენ, მზე გვინათის, აღარ ბნელაო"

სუბიექტები განაგრძობენ: „დაგვიდეს აქ ჩემოდნები, ვოდელა, დელა, დელაო".

ანსამბლი ღიღინებს: „მაგრამ ჯერ ჩვენა სიმტკიცეს აქა-იქ უნდა შველაო, მტერსაც არ სძინავს, მზად ვიყვეთ"...

სუბიექტებმა მტრის სახელი და მზადყოფნის მოწოდება რომ გაიგეს, ზურგზე წამოიგდეს ნადავლი და გავიდნენ სიმღერით: „ახლა კი თავსა ვუშველოთ, ვოდელა, დელა, დელაო".

კონცერტი გათავდა. სალოტბარო ჯოხი უკანასკნელად გაიელვა ჰაერში და მოკვეთით ძირს დაეშვა. ანსამბლმა კულისებს მიაშურა. წარმოდგენილი გაქვთ, რა ნაღვლიან ჰანგზე ამღერდებოდა ანსამბლი, როდესაც დაცარიელებული ჩემოდნები იხილა? „იმღერე ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან". ამხ. ფოცხვერაშვილი ამშვიდებს მათ, არწმუნებს, ქურდები თქვენმა მომხიბლავმა ხმამ მოიყვანაო: „რა ეშმაკის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიანო". მაგრამ ნუგეში არაო გამოდგა. ვიდრე სათანადო ოქმი არ იქნა შედგენილი.

ამიერ-კავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა დაზარალებულთ ზარალის ანაზღაურება აღუთქვა. მოვალეც იყო, რადგან განა ცოდონი არ არიან მეჩონგურე ქალები, რომ ჩონგურის ტკბილ ჰანგთა მიმობნევასთან ერთად ჰფანტონ თავისი ჟერსეს კაბები და ტორგსინის ტუფლები? რას ვერჩით?

მაგრამ საქმე ის არის, დაპირება დღესაც არ არის განაღდებული, მიუხედავად იმისა, რომ სამმა თვემ უკვე განვლო. დადის ამხ. კოტე ფოცხვერაშვილი ქურდობის აქტით ხელში და არ იცის, კიდევ როდემდის დასჭირდება სიარული. ერთი კი უნდა ითქვას: თვითონ ფოცხვერაშვილსაც მიუძღვის ამაში ბრალი. ამ ზაფხულს მან ლექცია წაიკითხა „მუსიკით წამლობის" შესახებ და მრავალი სამკურნალო სიმღერის დემონსტრაცია მოახდინა. ნუთუ მის რეპერტუარში არ მოიპოვება ისეთი პროფილაქტიკური ჰანგები, რომელიც აიოდებდა ქურდობას, ანდა ისეთი სამედიკამენტო მელოდიები, რომელიც ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების დაავადებას მოუხდება?

სირიუსი

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავისათვის მიძღვნილი დემონსტრაციის ჩატარების წესი

7 ნოემბერს, ოქტომბრის დიდი რევოლუციის 18 წლისთავზე, იმართება ტფილისის მშრომელთა დემონსტრაცია და ტფილისის გარნიზონის ნაწილთა პარადი.

ტფილისის გარნიზონის ჯარის ნაწილთა პარადი გაიმართება ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე დილის 10 საათზე.

ჯარის ნაწილების პარადის დამთავრების შემდეგ იწყება ქ. ტფილისის მშრომელთა დემონსტრაციის მსვლელობა (რაიონების მიხედვით) შემდეგი წესით:

ა) ლენინის სახელობის რაიონი რკინისგზელებთან ერთად იკრიბება პარტიის რაიკომის შენობასთან საბჭოთა ქუჩაზე და 15—15 კაცისაგან შემდგარ კოლონებად მიდის შემდეგი მიმართულებით: საბჭოთა ქუჩა, რკინიგზის ხიდი, ავჭალის მოედანი, მალაკნის ქუჩა, ცორეის ქუჩა, ელბაქიძის სახ. ხიდი და წინა კოლონით დგება დაღმართიდან ლენინის ქუჩასთან.

ბ) სტალინის რაიონი იკრიბება პლეხანოვის პროსპექტზე, 20-20 კაცისაგან შემდგარ კოლონებად მიემართება ჩელუსკინის სახელობის ხიდით ლენინის ქუჩისაკენ და წინა კოლონით დგება ელბაქიძის სახელობის ხევერთან.

გ) ორჯონიკიძის სახელობის რაიონი იწყობა უნივერსიტეტის ქუჩაზე 20—20 კაცისაგან შემდგარ კოლონებად, წინა კოლონა დგება ლენინის ქუჩაზე გასავალთან.

დ) კიროვის სახელობის რაიონი იკრიბება სანაპირო ქუჩაზე, ეწყობა 15—15 კაცად, წინა კოლონა დგება ელბაქიძის დაღმართის გასასვლელთან, უცდის ლენინის სახელობის რაიონის გავლას და მას მისდევს.

ე) „26“-ის სახელობის რაიონი იკრიბება კაშუეთის მოედანზე, ეწყობა 20—20 კაცად და მიემართება კალიაევის აღმართით კარლ მარქსის სახელობის ხიდისაკენ, წინა კოლონა დგება სანაპირო ქუჩაზე და მისდევს კიროვის სახელობის რაიონს.

რაიონების გავლის წესი:

ა) სტალინის და ლენინის რაიონები წინა კოლონებით მიემართებიან რუსთაველის პროსპექტით, ამასთან სტალინის რაიონი მიდის მარჯვენა მხარეზე, ხოლო ლენინის რაიონი მარცხენა მხარეზე.

სტალინის რაიონი გაივლის კომინტერნის ქუჩას (ყოფ. სასახლის), ხოლო ლენინის რაიონი—მუზეუმის ქუჩას და შემობრუნდება ტრიბუნისაკენ, რომ ტრიბუნასთან მიახლოვებისას შეუერთდეს სტალინის რაიონის წინა კოლონას.

ბ) სტალინის რაიონს ამავე მიმართულებით მისდევს ორჯონიკიძის სახ. რაიონი, ხოლო ლენინის რაიონს—კიროვის სახელობის რაიონი.

გ) კიროვის სახელობის რაიონს მისდევს „26“-ის სახელობის რაიონი, ამასთან, თუ ორჯონიკიძის სახელობის რაიონი „26“-ის სახელობის რაიონზე უფრო ადრე გაივლის, „26“-ის რაიონი მუზეუმის ქუჩის მაგივრად კომინტერნის ქუჩით გაიმართება.

დ) ტრიბუნის გავლის შემდეგ ყველა რაიონი დაეშვება პუშკინის ქუჩით.

ე) პიონერ-ორგანიზაციები და სასწავლებლები მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ მე-7 კლასიდან და ზევით, ამასთან პიონერ-ორგანიზაციები ეწყობიან რაიონებრივად რაიონული კოლონების წინ. პასუხისმგებლობა პიონერთა კოლონების ხელმძღვანელობისათვის ეკისრებათ კომკავშირის რაიკომთა მდივნებს.

რაიონული კოლონების ხელმძღვანელობა დაეკისროთ:

ა) ლენინის რაიონში ამხ. თვალჭრელიძეს, მაჭავარიანს, ცქრიალაძეს და დარსაძეს.

ბ) ორჯონიკიძის სახელობის რაიონში—ამხ. ჩიხლაძეს, გაბარაშვილს და ინჯიაიას.

გ) სტალინის რაიონში—ამხ. კარნაცკის და მოჯიაშვილს.

დ) კიროვის სახელობის რაიონში — ამხ. ჭუჯიაშვილს და კუკუას.

ე) „26“-ის სახელობის რაიონში—ამხ. ვარანაძეს, ავაზოვს და პერჩიანს.

ვ) პასუხისმგებლობა საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა და სხვათა კოლონების ხელმძღვანელობისათვის ეკისრებათ პერსონალურად პარტკომის მდივნებს ან პარტორგებს, ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეებს და დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს.

დაევალოს ყველა საწარმოს, სასწავლებელს, საბინაო ამხ-ბას და მთელ სავაჭრო ქსელს მხატვრულად გააფორმონ დროშებით, ლოზუნგებით, ილუმინაციით, ტრანსპარანტებითა და სხვ. სახლთა, დაწესებულებათა, საწარმოთა, სავაჭრო ორგანიზაციათა ფასადი, ვიტრინები და სხვა.

პასუხისმგებლობა გაფორმებისათვის ეწევათ საწარმოთა, დაწესებულებათა, სავაჭრო ორგანიზაციათა, სასწავლებელთა დირექტორებს, საბინაო ამხ-ბათა, სახტრესტთა თავმჯდომარეებს.

დადგენილ იქნას დემონსტრაციის დღეს ქალაქში მოძრაობის შემდეგი წესი:

ა) ძირითად მაგისტრალებზე, სადაც რაიონული კოლონები შეიკრიბებიან და რომლებზედაც ეს კოლონები გაივლიან, ტრამვაის მოძრაობა წყდება სრულ 8 საათზე; ხოლო კალიაევის აღმართის, 300 არაგველის ხიდის, და სარეწაო კოოპერაციის ქუჩის მარშრუტზე—დილის 7 საათიდან, ამასთან ყველა ვაგონი პარკში შედის.

ტრამვაის მოძრაობა მთელს ქალაქში 7 ნოემბერს აღდგენილ იქნას დემონსტრაციის გათავების შემდეგ.

ბ) შეწყდეს მანქანების მოძრაობა ამავე მიმართულებით, თუ ამისი სპეციალური ნებართვა არ ექნებათ. ნებართვას სამგზავრო ავტომანქანებისათვის იძლევა ქუჩის მოძრაობის მოწესრიგების განყოფილება კომისიის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით. აკრძალოს ყველა სამგზავრო მანქანას ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე გასვლა დილის 9 საათის შემდეგ.

დ) ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე კომინტერნის, წერეთლის და კიროვის ქუჩებით თავისი მანდატებით გადიან: ა.-კ. ცაკის, საქართველოს ცაკის, ტფილისის საბჭოს, საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. კ.პ (ბ) ც. კ-ის და ტფილისის კომიტეტის საკ. ალკკ სამხარეო კომიტეტის, საქ. ალკკ ც. კ-ის და ტფილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები, შრომის გმირები და ორდენით დაჯილდოებულნი; ამასთან საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ტფილისის კომიტეტის, ა.-კ. ცაკის და საქართველოს ცაკის წევრები და კანდიდატები, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის, საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს საქართველოს ალკკ ც. კ-ის და ტფილისის კომიტეტის წევრები თავისი მანდატებით გავლენ ტრიბუნაზე დილის 9 ნახ. საათამდე, რის შემდეგ გასვლა აღარ შეიძლება.

დაევალოს ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას — ამხ. მამულიას მოაწყოს პირველი დახმარების მედ. პუნქტები კოლონათა მოძრაობის მარშრუტზე.

7 ნოემბერს ნორმალური ვაჭრობა წარმოებს ბურსა და გასტრონომიულ ყველა მაღაზიაში, ა.-კ. ფედერაციის მოედანზე მოთავსებულ სავაჭრო ორგანიზაციათა გამოკლებით, რომლებიც იხსნება დემონსტრაციის გათავების შემდეგ.

8 და 9 ნოემბერს ვაჭრობა მთელს ქსელში ხდება ჩვეულებრივი წესით:

პასუხისმგებლობა ოქტომბრის ზეიმის ჩატარების დღეს ქალაქში წესრიგის დაცვისათვის პერსონალურად ეკისრებათ ქალაქ ტფილისის კომენდანტს ამხ. შავდიას და რესპუბლიკის მილიციის უფროსს ამხ. წირეთელს.

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის ზეიმის მომწყობი კომისია.

ვაჭრობის წესები
ოქტომბრის დღესასწაულზე

ტფილისის საბჭოს შინავაჭრობის სამმართველომ შეიმუშავა საპროდუქტო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებში ვაჭრობის წესები ოქტომბრის მე-18 წლისთავის ზეიმის დღეებისათვის.

5 და 6 ნოემბერს საპროდუქტო მაღაზიებში ვაჭრობა გაგრძელებული იქნება ნაშუადღევის 9 საათამდე. ამავე დღეებში სამრეწველო საქონლის მაღაზიებში ვაჭრობა იწარმოებს ღამის 10 საათამდე.

7 და 8 ნოემბერს ქალაქის მთელი სავაჭრო ქსელი იმუშავებს ჩვეულებრივ საათებში. გამონაკლისი დაშვებულია მარტო იმ მაღაზიებისათვის, რომლებიც ფედერაციის მოედნის მიდამოებში მდებარეობენ. ამ მაღაზიებში 7 ნოემბერს ვაჭრობა დაიწყება ნაშუადღევის 5 საათიდან.

7 ნოემბერს, დემონსტრაციების დროს, საქკავშირვაჭრობა და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირი ქუჩებში სავაჭროდ გამოუშვებენ 29 მოძრავ მაღაზიას (ავტომობილებზე) და 216 ყუთით საქონლის დამტარებელს.

8 ნოემბერს საქკავშირვაჭრობა, პროდუქტების დამტარებლებს მგზავრის აეროდრომზე.

პირველი გიგანტი—ქარხანა № 25

ჭიათურის მარგანეცის გამდიდრების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1933 წ. პერევისაში **დაიწყო სარეცხი ქარხნის მშენებლობა.** ამ ქარხნის დანიშნულებაა მადნის რაციონალიზებული რეცხვის საშუალებით მარგანეცის ხარისხის აწევა.

ახალი ქარხანა საათში ატარებს 50 ტონა ნედლეულს და იძლევა 58 პროცენტიან მადანს, ხოლო ლითონის ამოკრეფა აღწევს 83 პროც.

1933 წლიდან 1935 წლამდე სწარმოებდა ქარხნის სამშენებლო ნაწილის დამზადება. მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო მანქანების მოზიდვა და მათი დამონტაჟება, რამაც ნახევარ წელიწადზე მეტი გასტანა. იგი მიმდინარეობდა ძირითადად ადგილობრივი ინჟ.-ტექნიკური ძალების ხელმძღვანელობით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მუშაობის ხშირად არახელსაყრელი პირობებისა (მასალის, ხელსაწყოების, კვალიფიციური მუშა-ხელის სიმცირე და სხ.), წმინდა მონტაჟი დროზე დავამთავრეთ. 42 მეტრიან სიმაღლისა და 13 სართულიანი ქარხნის შენობაში შევძელით საზღვარ-გარეთული და საბჭოთა კავშირში დამზადებული მრავალი მძიმე მანქანის უავარიოდ ატანა და დამონტაჟება. ეს ჩვენს დამკვრელ ინჟინერ-ტექნიკური ძალებისა და მუშების თავდადებულ მუშაობას უნდა მიეწეროს.

საუკეთესო ხარისხის გამოდგა გერმანულ ნახაზების მიხედვით ადგილობრივი ძალებით საბჭოთა კავშირში პირველად დამზადებული ახალი ტიპის შტაუბის და მარცის დაზგები.

მონტაჟის დამთავრების შემდეგ ა.-წ. პირველი ივლისიდან, 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ქარხნის საცდელი და სარეგულაციო ექსპლოატაცია. უკანასკნელად კი 25, 26, 27 სექტემბერს მოვახდინეთ საგარანტიო საცდელი რეცხვა. რეცხვას დაესწრო მოსკოვიდან სპეციალურად მოვლინებული მთავრობის მიმღები კომისია. კომისიას თავმჯდომარეობდა „მეხანობრის“ დირექტორი ნორკინი, წევრებად იყვნენ ამხ. ყურულაშვილი, პროფ. ჩინკინი, შლეზინგერი, არუთინიანი და სხ. **ამ გამოცდაში ქარხანა სავსებით გამარჯვებული გამოვიდა.**

ამხ. გ. ედიბერიძე

ქარხნის მუშაობა მთავრობის მიმღებმა კომისიამ სავსებით დამაკმაყოფილებლად იცნო, თუმცა ლითონის ამოკრეფა გეგმასთან შედარებით 3 პროც. ნაკლები მივიღეთ. ეს ერთის მხრივ იმით აიხსნება, რომ მაღაროს ვერ შეხძლო 39 პროც. ნედლეულის მიცემა და მეორეს მხრივ იმით, რომ გერმანელებმა ქარხნის ტექნოლოგიის ნაწილის დაპროექტების დროს ვერ გაითვალისწინეს ჩვენი მადნის ყველა სპეციფიკური თვისება. მაგრამ მეტალის 80 პროც. ამოკრეფის მიღწევა ძველი ქარხნებში არსებულ 65 პროცენტთან შედარებით, ჩვენი მეურნეობისათვის მაინც დიდად მნიშვნელოვანია, რადგანაც ლითონის დანაკარგების 35—36 პროცენტიდან 20 პროცენტამდე დაყვანა ზრდის პერევისის სამრეწველო მარაგს. ახეთი მეთოდით მადნის რეცხვას შეუძლია გაზარდოს მთელი ჭიათურის სამრეწველო მადნის მარაგი. თანახმად მთავრობის კომისიის დასკვნისა, ქარხანა № 25-ის წლიური ეკონომიური ეფექტი ძველ ქარხნასთან შედარებით ერთ მილიონ მანეთზე მეტია.

განვახორციელეთ რა ჩვენ ბელადის ამხ. სტალინის მითითება ტექნიკის დაუფლების მხრივ მარგანეცის გამდიდრების დარგში ახალი ტექნიკის ათვისებით, ჩვენ მომავალი წლიდან უფრო მეტი ენერგიით შევუდგებით ახალი გიგანტის ცენტრალური გასამდიდრებელი ქარხნის მშენებლობას, რომელმაც საბოლოოდ უნდა დაამთავროს ჭიათურის მარგანეცის გამდიდრების რეკონსტრუქცია.

გ. ედიბერიძე.
ქარხანა № 25 მშენებლობის უფროსი და მთ. ინჟინერი.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

მოდიან კოლმეურნეები პროდუქტების ქარავნებით

ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად რაიონებიდან ტფილისში მოემგზავრებიან კოლმეურნეობათა წარმომადგენლები, რომელთაც თან მოაქვთ საკოლმეურნეო ბაზრებზე გასასყიდად სოფლის მეურნეობის ნაწარმოები.

მიღებულია ცნობა, რომ 1 ნოემბერს ახალციხიდან ტფილისისაკენ გამოემგზავრნენ 20 კოლმეურნეობის წარმომადგენლები, რომელთაც 20 ურემზე დატვირთული პროდუქტები მოაქვთ.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებმა კი თავიანთ დელეგაციას, ტფილისში გასაყიდად გამოატანეს 6 ვაგონი პროდუქტები.

მიღებულია აგრეთვე ცნობები კოლმეურნეობათა დელეგაციების გამოგზავნისა და პროდუქტებით დატვირთული ქარავნების შესახებ— ლუქსემბურგის, აბულახ-მანგლისის და სხვა რაიონებიდან.

ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელმა საქალაქო კომისიამ კოლმეურნეობათა დელეგაციებისათვის გამოჰყო ადგილი მთავრობის ტრიბუნის მახლობლად, ფედერაციის მოედანზე.

19372 ცენტნერი შაქარი

ხაშური, მიმდინარე წლის საწარმოო სეზონის დაწყებიდან აგარის შაქრის ქარხანამ გადაამუშავა 142 ათასი ცენტნერი ახალი მოსავლის შაქრის ჭარხალი და გამოუშვა 19.372 ცენტნერი შაქარი. ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში გაიგზავნა 12.335 ცენტნერი შაქარი.

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავთან დაკავშირებით ქარხნის მუშათა და ინჟინერ - ტექნიკოსთა კოლექტივმა იკისრა ვალდებულება — შეასრულოს ქარხნის საუღელამისო საშუალო ნაყოფიერება და შაქრის დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანოს.

ამხ. ივანე ფირცხალავას ხსოვნას

ფოთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დაჰკარგა საუკეთესო მებრძოლი, პარტიის ძველი წევრი შრომის ენთუზიასტი—გმირი, ნავსადგურის მუშა ამხ. **ივანე ფირცხალავა.**

ამხ. ივანე დაიბადა 1867 წელს სოფ. ინჩხურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 15 წლისა ის უკვე მჭედლად მუშაობდა ქუთაისში სახელოსნოში, შემდეგ კი—საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. 1902-1903 წ. წ. ტფილისში ეცნობა მოწინავე რევოლუციურ მუშებს, რომლებთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციაში. 1905 წელს ხდება პარტიის წევრი. 1906 წელს გადადის ფოთში.

მეფისა და მენშევიკების დროს ბევრჯერ იყო დაპატიმრებული, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გაფიცვებში, აქტიურად მუშაობდა ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ამხ. ივანეს ეჭირა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობანი. მან ირჩევენ მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარედ, ნიშნავენ ნავსადგურის ქარხნის დირექტორად, არჩეული იყო საქ საკონტროლო კომისიის წევრად ფოთის რაიკომისა და ქალაქის საბჭოს წევრად.

უკანასკნელ დრომდე ის მუშაობს ქარხანაში, როგორც დიდი საწარმოო სტაჟის მქონე კვალიფიციური მუშა, დაჯილდოებული ორდენით, შრომის გმირი ამხ. ივანე ხელისუფლებით თავდადებული მუშაობით, ყოველთვის იყო მოწინავეთა პირველ რიგებში, როგორც მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ისე სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც ფოთის ნავსადგურის აღორძინების, ისე საქალაქო მშენებლობის საქმეში.

ამხ. ივანე მუდამ მხნედ, მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა და პირნათლად ასრულებდა პარტიის და ხელისუფლების დავალებებს.

მეტად მძიმეა ახეთი ამხანაგის დაკარგვა, მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ იგი ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენს რიგებში.

ამხანაგების ჯგუფი:

ანდრო ფირცხალავა, მოსე ქვარაცხელია სერგო მეგრელიშვილი, გესო გოგია, შ. ლეჟავა, გიგო ლომთათიძე, ვ. ნიკოლაშვილი, ა. ჭანტურიშვილი, ს. ფრუიძე, ბ. ესაკია, ი. გაბუნია, პ. კვაჭიძე, ქ. ცანავა, ა. ლომაძე, ე. ნოდია, ქ. ბაბესკირია, გ. ტოფუა, ე. ფოლთაავა, ქ. ფირცხალავა.

კალიაევის აღმართი გაფართოვება დამთავრდა

გუშინ საღამოს, ძირითადად დამთავრებული იყო კალიაევის აღმართის გასაფართოებელი სამუშაოები: ტრამვაის ხაზის გაყვანა, სინათლის ქსელის მოწყობა, მოკირწყვლა და სხვა სამუშაოები შესრულებულია.

სამუშაოთა დამთავრების გამო ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო უკვე გაფართოებული და გამშვენიერებული აღმართის მიმღები კომისია, რომელმაც შესრულებული სამუშაოები უნდა ჩაიბაროს დღეს, 5 ნოემბერს.

კომისიაში შედიან — ამხ. ს. ტერდატიანი, გ. ჭავჭავაძე, ვ. სალუქვაძე, სლავინსკი, პროფ. ზავრიევი. პროფ. გ. მუხაძე, პერჩიანი, ა. რაზმაძე, ინჟ. ბეჟანიშვილი, პროფ. ტერ-ხაჩატუროვი და ამხ. ლამპარტერი.

ინტერნატები უმეთვალყურეო ბავშვებისათვის

ორთაჭალაში იხსნება უმეთვალყურეო ბავშვთა პირველი ინტერნატი საქართველოში. ინტერნატში ჩიილებენ 50 ბავშვს, რომლებსაც მშობლები ჰყავთ, მაგრამ ძნელია მათზე აღმზრდელობითი ზემოქმედება სახლში. ინტერნატის შენახვის ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო. უკვე დამთავრდა იმ სახლის რემონტი, სადაც ინტერნატი უნდა გაიხსნას.

უმეთვალყურეო ბავშვების მიღება ინტერნატში 10 ნოემბრიდან დაიწყება.

ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება ბავშვების მიღება მეორე ინტერნატში, რომელიც ვაკეში მოთავსებული. ეს ინტერნატი გათვალისწინებულია 100 ბავშვისათვის. ინტერნატში მიიღებენ ისეთ ბავშვებს, რომელთა უმეთვალყურეობა გამოწვეულია მათდამი მშობლების არასაკმაო ყურადღებით. ამ ინტერნატის ბინის ვადის დაკისრებათ მასში მოთავსებულ ბავშვების მშობლებს.

ორივე ინტერნატი აგებულია საბავშვო სახლების ტიპზე.

6.000 წინადადება ამომრჩევლებისაგან

ტფილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ ტფილისის მშრომელებმა საანგარიშო კრებებზე შემოიტანეს 6.000 წინადადება.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა ამ წინადადებათა კლასიფიცირება და გამზადება გამოსაცემად. ამომრჩეველთა წინადადებანი გამოცემული იქნება ცალკე წიგნად ქართულ-რუსულ ენებზე.

წინადადებათა კრებულის გამოსაცემად გადადებულია 8.000 მანეთი.

შემთხვევები

ავტომობილების დაჯახება. 2 ნოემბერს, რუსთაველის პროსპექტზე ავტომობილი № 8—16 (შოფერი ს. ნ. გრიდნიევი), დაეჯახა № 23—92 ავტომობილს (შოფერი ი. შ. მიქელაძე). ორივე მანქანა დაზიანდა. შოფერები პასუხისგებაში მისცეს.

გაუფრთხილებელი ხვლა. კომინტერნის ქუჩაზე № 23—68 ავტომობილი დაეჯახა მეეზოვე ს. ეგორიანს და დააშავა. შოფერი ფარემუზოვი პასუხისგებაში მისცეს.

ქრონიკა

— 6 ნოემბერს, საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავდაცვითი ლიტსექციის სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. პლ. მოროტიძე, ბ. თაშვილი, არ. ჩაჩიბაია, ალ. გომიაშვილი, გალ. ტაბიძე, ალ. მაშაშვილი, ნ. ზომლეთელი და გ. ქუჩიშვილი.

გასწორება

„კომუნისტი“-ს გუშინდელ ნომერში მოთავსებული ამხ. ყურულაშვილის წერილის სათაურში დაშვებულია კორექტურული შეცდომა. სწერია: „საქართველოს მრეწველობა აღორძინების გზაზე“ უნდა იყოს „საქართველოს მრეწველობა აღმავლობის გზაზე“.

რადიო-გადაცემა
5 ნოემბრისათვის

11—30 გადაცემა სკოლამდელთათვის რუსულ ენაზე: „სისირის თავგადასავალი“, 11—55 კონცერტი (გრამოფონური ჩანაწერი), 16—40 კონცერტი: წითელი არმიის სიმღერებში. 17-30 საუბარი კონცერტი „მუსიკალური განათლების“ ციკლიდან. 18—20 გადაცემა უფროს მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე: „გეოგრაფიის სასწაულთა ქვეყანაში“. 19—20 კონცერტი გასართობი მუსიკისა (გრუზია, ოპერა), 20—00 მასობრივი დაუსწრებელი განათლების ლექცია 20—40 ლიტერატურულ-დრამატიული გადაცემა რუსულ ენაზე. 21—30 სიმფონიური კონცერტი (ქართველ და რუს კომპოზიტორების).

ოპერისა და ბალეტის თეატრი

დღეს მე-14 აბონემენტი. 1 წარმოდგენა
ჰერ თიდი ტრუბადური
6 ნოემბერს ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის XVIII წლისთავისათვის
7 ნოემბ. წარ. არ იქნება
8 ნოემბერს 8 ს. 3 წარ. ტრუბადური

ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე.

ის აბონენტები, რომლებსაც არ გადაუხდიათ კავიანთი აბონემენტების მეხამე შესატანი, წარმოდგენებზე არ დაიშვებიან. შესატანების მიღება და ბილეთების გაყიდვა ყოველდღე დილით 11—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

დღეს პედინსტიტუტის მე-18 აბ. 1 წარ. ა. შანშიაშვილის „ანზორ“
6 ნოემბერს პედინსტიტუტის მე-19 აბ. 1 წარ. ა. შანშიაშვილის „ანზორ“
8 ნოემბერს სახ. უნივერსიტ. 14 აბ. 1 წარ. ფ. შილერის in tirannos

5 ნოემბერს წარ. № 12 ვერაგობა და სიყვარული
6 ნოემბერს წარ. № 13 ვერაგობა და სიყვარული
7 ნოემბერს წარმოდგენა № 14 ნინოშვილის გურია
დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან.

ამიერკავკასიის საფინანსო-ეკონომიური და საღრიცხვო მეცნიერებათა დაუსწრებელი ინსტიტუტი.
ქ. ტფილისი, ჯუღაშვილის ქუჩა № 4.

ინსტიტუტი უმაღლესი სასწავლებელია. ინსტიტუტდამთავრებულნი სარგებლობენ სტაციონარულ უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულთა ყველა უფლებით.

სწავლების ვადა 4 წელიწადია.

ინსტიტუტში ორი ფაკულტეტია:—საფინანსო-საკრედიტო და საღრიცხვო-ეკონომიური. ინსტიტუტის ქართულ განყოფილებას ორი სექტორი აქვს—ქართული და ინტერნაციონალური, სადაც სწავლება რუსულ ენაზეა. ქართულ განყოფილებას სხვადასხვა ქალაქში აქვს საკონსულტაციო პუნქტები.

სადაც არსებობს განყოფილებები და საკონსულტაციო პუნქტები, იქ მეცადინეობა სწარმოებს დასწრებულად. წმინდა დაუსწრებელი მეთოდით სწავლობენ მხოლოდ პერიფერიაში მცხოვრები სტუდენტები.

განცხადებები მიიღება ყველა განყოფილებაში და საკონსულტაციო პუნქტებში 11 დეკემბრამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს განყოფილებებთან და საკონსულტაციო პუნქტებთან 16-დან 21 დეკემბრამდე. პერიფერიაში მცხოვრები სტუდენტები მისაღებ გამოცდებს ზეპირად არ აბარებენ. ისინი წარმოადგენენ ინსტიტუტში მისაღებ საკონტროლო ნამუშევარს.

ის პირნი, რომელთაც მიმდინარე წელს ჩააბარეს მისაღები გამოცდა ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში და აგრეთვე ისინი, ვისაც დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, მიიღებიან ინსტიტუტში უგამოცდოდ.

სასწავლო წელი დაიწყება 1936 წ. 1 იანვრიდან.

ინსტიტუტში მიღების ვრცელი პირობები, მისაღები გამოცდების პროგრამები და აგრეთვე მისაღები საკონტროლო სამუშაოების თემები იხ. პროსპექტში.

მოითხოვეთ პროსპექტი და ანკეტა-განცხადება ინსტიტუტის ქართულ განყოფილებაში და საკონსულტაციო პუნქტებში, რესპუბლიკის ფინსახკომში, რაიონის და ქალაქის ფინგანებში და სახ. ბანკის განყოფილებებში.

პროსპექტების მიღება შეიძლება ფოსტით ინსტიტუტის განყოფილებიდან და საკონსულტაციო პუნქტებიდან.

ინსტიტუტის და ქართული განყოფილების მისამართი: ქ. ტფილისი, ჯუღაშვილის ქ. № 4.

საკონსულტაციო პუნქტების მისამართი:
ბათუმი: შაუმიანის ქ. № 18 სამრეწველო-ტექნიკუმი მეიაშვილი
ქ. ქუთაისი: ქალაქის ფინგანი ფალიაშვილი
სოხუმი: ს ბ ბანკი ჩუკბარი
421 ინსტიტუტის დირექცია

ა. წ. 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში
დიდი ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის აღსანიშნავად
მოწვეულია ტფილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და წითელი არმიის წარმომადგენლებთან ერთად საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის ტფილ. კ-ტის და რაიკომების, ამიერ კავკასიის ცაკის, საქ. ცა-ის ტფილისის საბჭოს, საკ.ა.ლ.კ.კ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კ-ტის, საქ. ალ. კ. კ. ც. კ-ტის და ტფილ. კ-ტის წევრები და კანდიდატები ესწრებიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები ესწრებიან სპეციალური მოსაწვევი ბილეთებით, რომლებსაც იძლევა რაისაბჭო.
420 ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი 1—1

კინოთეატრები: ... (ახალი ხმოვანი ფილმი „მტრის ბილიკები“ ...; „ოქროს ტბა“; „პეტრე I (მეტერი)“; „ხაზდარი“; „ქეთო და კოტე“ ...)

ზედახ-ი აუწყებს აბონენტებს, რომ ტელ:სის ·სელში სამუშაოები იწარმოებს—6, 7 და 8 ნოემბრის ნაცვლად—ა.-წ. 7, 8 და 9 ნოემბერს.
4?8 ტელასი

თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა მიმდინარეობს „ალ რიბკომი“-ს დახ. მუშათა კოოპერატივის
ლიკვიდაცია
პრეტენზიები მიიღება ა წ. 15 ნოემბრამდე. აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება. ლიკვიდკომი მუშაობს სარეწაო კოოპერაციის ქ № 19

ვამზადებ მოწაფეებს: ათწლედის მოწმობაზე ექსტერნატით... უმაღლესისათვის (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია).
პირობების გაგება დილის 8—10 საათამდე. საღ 6—8 საათამდე.
ნინოშვილის ქ. № 47 მასწ. პაპიტაშვილი

ექიმი ა ქემოშვილი
სიფილისი. ვენერიული და კანის დაავად.
მიღება: დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72. 9291

დაკარგულია 1. პირადობის მოწმობა, 2 კავშირის წიგნაკი და 3. საპენსიო წიგნაკი ელექსი იორდანეს ძე გაბაეროვის სახელზე.
პასპორტი № 115712. კავშირის წიგნა ი № 412-54 და სხვა საბუთები იულია იუდინას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დამწუხრებული მეუღლე ვანო მაძალუა პატარა ლეილათი იუწყებიან ოლია დათუაშვილი—მაძალუას უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 5 ნოემბერს, 4 ს. პრესის ქ. № 3. 1125

გულმოკლული მშობლები: ექ. ქეთევან და დავით ბახტაძეები მწუხარებით იუწყებიან პატარა ნელიკოს გარდაცვალებას. გამოსვენება 5 ნოემბერს, 4 ს. ეორესის ქ. № 49 დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 11140

გულმოკლული მშობლები: მიხეილი, თამარი შვილით ჟანიკოთი ბაბუა დავითი, ბებია ქრისტინა, ბიძები: ნიკოლოზი მეუღლით, შოთა ნიკურაძეები იუწყებიან ჯემალიკოს უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 7 ნოემბერს ქუთაისში. სამხედრო შესახვევი. 11163

თესლის საკონტროლო ცენტრალური სადგურის დირექცია და სპეციალისტები მწუხარებით იუწყებიან მეცნიერეთა დაცვის დარგში დამსახურებულ მოღვაწის, პროფესორ პანტელეიმონ ივანეს ძე ნაზორნის გარდაცვალებას. 11164

ლადო ფირცხალავა, მიშა ურუშაძე, პეტრე ურუშაძე, ალიოშა და ვანო მინდიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამხ. იასონ ფირცხალავას მამის ივანე გიორგის ძე ფირცხალავას გარდაცვალებას. 11180

აბასთუმნის კურორტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან აბასთუმნის კურორტის დირექტორის იასონ ფირცხალავას მამის ივანე გიორგის ძე ფირცხალავას გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ქ. ფოთში. 11179

ზაქარია და ნატალია დავითაშვილები შვილებით: ლიზა, არჩილი, გიორგი, დავითი და ვიქტორი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან პატარა ნელი ბახტაძის გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს ეორესის ქ. № 49, ვერის სასაფლაოზე. 11153

დამწუხრებული მშობლები: ქსენია, მელქისე შვილებით, ბებიები: ეკა, ესმა, დეიდა დარეჯანი იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს, 3 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა ჩიტო ანთიძის სამოქალაქო პანაშვიდი. 11159

ბებია ტერეზია, ბიძები: ვანო, ექიმი ალექსანდრე და ნიკოლოზი, დეიდები: ვალია, ზოია ჩიქობავები, ანეტა ფარუაშვილი იუწყებიან პაწია გურამიკო დიმიტრის ძე გოგიძის უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს ცაგერში. 11160

ძმა დიმიტრი, რძალი ემელია, ძმისშვილი ექ. ლიზა სარჯველაძე, სიძე იესე შაქარიშვილი პატარა გულნინათი იუწყებიან ძვირფასი ისიდორე დავითის ძე სარჯველაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ს. ლესაში. 11156

დამწუხრებული ბაბუა არტემი, ბებია მარიამი შვილებით: ნიკოლოზი მეუღლე დარეჯანით, ნინო, გიორგი, ვახტანგი თევზაძეები იუწყებიან ჯემალიკო ნიკურაძის დაკარგვას. დაკრძალვა 7 ნოემბერს, ქუთაისში, სამხედრო პირველი შესახვევი, 2. 11163

დამწუხრებული მეუღლე ნინა შვილები: გივი, დარეჯან, პორფილე, სოსო და ნუგზარ იმნაძეები იუწყებიან საყვარელ პოლიკარპე პორფილეს ძე იმნაძის გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ლანჩხუთში 6 ნოემბერს, 3 საათზე. 11162

უახლოესი მეგობრები: ოლია, ვალიკო ფაღავები, ვანიკო ჯალაღანია, ვალოდია აჩბაძე, ჭიჭიკო გერსამია, ტარასი კოლუმბაია, ვანო გიგინეიშვილი ოჯახებით მწუხარებას გამოსთქვამენ ვანო მაძალუას მეუღლის ძვირფას ოლიას უდროოდ გარდაცვალების გამო. 11172

დედა თამარ, დები: ელო, ნუნუ, დეიდაშვილები: მიტო, გოგი ცოლშვილით ფავლენიშვილები იუწყებიან, რომ 7 ნოემბერს ს. ფხვენისში დანიშნულია დაუვიწყარი ხაშურა (ბიჭიკო) ზედგინიძის სამოქალაქო პანაშვიდი. 11173

დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე ჩიჩუა, შვილებით: ნინა, რუსუდანი, დარეჯანი, ოთარი, თინათინი, სიძეები: ეორე ბედია, შალვა არჩვაძე, ბორის გუჯეჯიანი იუწყებიან, რომ ნოემბრის 6, 4½ საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დიმიტრი გიორგის ძე ჩიჩუას ხსოვნის აღსანიშნავად. უფ.

ქმარი მიშა, შვილები: ნუნუ, ოთარ გორგაძეები იუწყებიან, რომ მასწავლებელ აგრაფინა მელიტონის ასულ გეწაძე—გორგაძის სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 8 ნოემბერს 5 ს. ქ. ზესტაფონში, ტყვრის სასაფლაოზე. 11171

დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: გრიშა, მიტუშა დავტირით ძვირფას ბაქოსა გერმანეს ძე ჟანჩაველის გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 5 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 6 ნოემბერს 3 საათზე. 11165

ღრმად დამწუხრებული მშობლები: კასიანე, კოსტა, ძმა შოთა, და კატუშა. გამზრდელი დეიდები ციცა, დომნიკა, ბიძა დოროთე, თალიკო დალილათი ხონელიძეები იუწყებიან საყვარელ ოლია დათუაშვილი—მაძალუას გარდაცვალებას. 11167

ილია იორდანეს ძე მიქაძე, მეუღლით ფაციათი და შვილებით ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მეგობრის ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გიგეჭკორის უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 11174

მშობლები: მარიამი, ვასილი; ცოლი ანნა, დები: ელიკო, ნანიკო, ძმები: სირიოჟა, ვახტანგი, რობერტი იუწყებიან, რომ 6 ნოემბერს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია შურა ვასილის ძე სუხიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი. 11161

ექიმები ელია და ოთარ ჭუმბურიძეები პატარა გოგიათი, ექიმი ლესიკო ყურაშვილი მწუხარებით იუწყებიან ამხანაგ ექიმ დიტო გოგიძის შვილის პატარა გურამის უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ცაგერში დღეს. 11158

ცოლი ელისაბედი, შვილები: პოლიქტორი, ნიოფიტე, ოტია, გოგი, ვანო ცოლშვილით, ქალიშვილები: ვერა, თინა ქმარშვილით იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს ს. აკანაში დანიშნულია დიომიდე კონსტანტინეს ძე ბეიშვილის სამოქ. პანაშვიდი. 1157

ტფილისის რკინიგზის მეოთხე საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭო და მშობელთა დამხმარე საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მასწ. დავით ბახტაძის ერთადერთი შვილის ნელიკოს უდროოდ დაკარგვის გამო. 11147

პედინსტიტუტის ფიზიოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ფიზიოლოგიური კათედრის და ლაბორატორიის გამგის დოცენტ ალექსანდრე გოცირიძის მამის მიხეილ გოცირიძის ხსოვნის აღსანიშნავად სამოქ. პანაშვიდი დანიშნულია დღეს ქ. სიღნაღში. 11112

მშობლები: თეო, ილიკო; დები: მარო, ქრისტინე; ძმები: მიშა, შალიკო, დათია იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს ქუთაისში 5 ს. დანიშნულია მედინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის ფედია გიორგაძის სამოქ. პანაშვიდი. 11120

უახლოესი მეგობრები: გიორგი შენგელია, სიმონ კილურაძე, სოლომონ კამია, კოლია არუთოვი, არსენ ხვედელიძე მწუხარებით იუწყებიან ვანო მაძალუას მეუღლის ოლიას გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს 5 საათზე. ვანქის. 3. 11142